წელიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: მთ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—22—17, სამდივნოს—19—53, მთ. კანტორის—3—31.

პარასკევი, 17 ნოემბერი 1933 წ. № 264 (3820)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჩალოს და ყარაიას რაიონის კომუნისტებო!

პარტია თქვენგან მოელის ბამბის ფრონტზე გარღვევების ბოლშევიკურად გამოსწორებას

სათესლე მასალის მთლიანად შეგროვება დაკვრითი ამოცანა

„კომუნისტის“ 11 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება სათესლე ფონდების შეგროვების სასწრაფოდ დამთავრების შესახებ. ამ დადგენილებაში ც. კ-ი და სახკომსაბჭო წინადადებას აძლევენ „საოლქო კომიტეტებს, სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს იმ მხარეებში, ოლქებში და რესპუბლიკებში, რომლებმაც მთლიანად და ყველა სექტორების მიხედვით შეასრულეს პურის ჩაბარების ვალდებულებანი, **დააჩქარონ სათესლე და დასაზღვევი ფონდების გამოყოფა და ამით საშუალება მისცენ ჩქარა დაიწყონ და გაშალონ საკოლმეურნეო ვაჭრობა პურით“.**

ცენტრალური კომიტეტი და სახკომსაბჭო ერთხელ კიდევ აფრთხილებენ ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს რომ პურით საკოლმეურნეო ვაჭრობა დაშვებული არ იქნება სათესლე და დასაზღვევი ფონდების გამოყოფის დავალებათა მთლიანად შესრულებამდე.

გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად საქართველოში პურის სახელმწიფოსათვის ჩაბარების დავალებათა წარმატებით შესრულებისა, არა დამაკმაყოფილებლად იყო მუშაობა გაშლილი სათესლე და დამზღვევი ფონდების შესაგროვებლად. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ საქართველოს რამოდენიმე რაიონს დღემდე არა აქვს შესრულებული საშემოდგომო სათესლე მასალის შეგროვების გეგმა. ამას მოწმობს ჩამორჩენა, რომელიც ჩვენ გვაქვს საგაზაფხულო კულტურებისათვის თესლის შეგროვების მხრივ და ბოლოს ამას მოწმობს ის დიდი გარღვევაც, რომელსაც ადგილი აქვს დამზღვევი ფონდების შეგროვების ხაზით. 10 ნოემბრისათვის საგაზაფხულო სათესლე ფონდების შეგროვების გეგმა შესრულებული იყო 66 პროცენტით, ხოლო საგაზაფხულო სადაზღვევოსი 32 პროცენტით.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში, რომელიც „კომუნისტი“-ს 15 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა, ყოვლად დაუშვებლად სთვლის ამ ჩამორჩენას და აფრთხილებს პარტრაიკომებს, რაიაღმასკომებს და პოლიტგანყოფილებებს. თუ ისინი 20 ნოემბრამდე არ უზრუნველყოფენ საგაზაფხულო სათესლე და დასაზღვევი ფონდების დაწესებული რაოდენობის შეგროვებას, მათ მიმართ მიღებული იქნება პარტსასჯელის უსასტიკესი ზომები.

გარდა ამისა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტრაიკომებს და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებს მოაწყონ **საგაზაფხულო სათესლე და დამზღვევი ფონდების შეგროვების შემოწმება და სამართალში მისცენ იმ კოლ**მეურნეთა გამგეობანი, რომელთაც დაუშვეს მოსავლის განაწილება სათესლე და დასაზღვევი ფონდების შეგროვებამდე.

ის მდგომარეობა, რომ სათესლე და დასაზღვევი ფონდების მთლიანად შეგროვების დამთავრებამდე დაშვებული არ იქნება საკოლმეურნეო ვაჭრობა პურით — თვითეული რაიონის და კოლმეურნეობის წინაშე კატეგორიულად აყენებს აღნიშნული ფონდების შეგროვების უახლოეს მომავალში დამთავრების ამოცანას. თვითეული კოლმეურნეობა და კოლმეურნე დაინტერესებული უნდა იყოს, რაც შეიძლება **მალე და მთლიანად** შეასრულოს სათესლე ფონდების შეგროვების გეგმა, რომ ამის შემდეგ მათ საშუალება მიეცეთ **„ჩქარა დაიწყონ და გაშალონ საკოლმეურნეო ვაჭრობა პურით“.**

მეორეს მხრივ სათესლე ფონდების დროზე და მთლიანად გამოყოფის აუცილებლობა ნაკარნახევია საგაზაფხულო თესვის საბრძოლო დავალებათა მაღალხარისხოვნად შესრულების ინტერესებით. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია შევურიგდეთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც გასულ წლებში, საგაზაფხულო ხვნასთან ერთად, მიმდინარეობდა სათესლე მასალის შეგროვება; არ შეგვიძლია დავუშვათ ისეთი მდგომარეობა, როდესაც თესვის დაწყების წინა დღეებში ირკვეოდა, რომ თესლი არ არის **როგორც საგაზაფხულო სათესლე მასალა, ისე სადაზღვევო ფონდები უნდა შეგროვდეს ახლავე, გაუჭიანურებლად, გადაუდებლად.**

კოლმეურნეობებმა გადაჭრით უნდა უკუაგდონ საგაზაფხულო თესლის გაზაფხულზე გამოყოფის პრაქტიკა. თვითეულ კოლმეურნეობას უკვე **ახლა** უნდა ქონდეს გამოყოფილი, გაწმენდილი და დაჯავშნული სათესლე მასალა. ეს, რომ სავსებით შესაძლებელია, ამას თვალსაჩინოდ ამტკიცებს **სიღნაღის რაიონის** მაგალითი, რომელმაც როგორც საგაზაფხულო სათესლე, ისე სადაზღვევო ფონდების შეგროვების გეგმა 100 პროცენტით შეასრულა ჯერ კიდევ ორი კვირის წინად.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და პოლიტგანყოფილებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ **სათესლე ფონდების შეგროვების შემოწმებას.** განსაკუთრებული სიმწვავით უნდა დავარტყათ კულაკურ, ანტისაკოლმეურნეო ტენდენციებს — გააჭიანურონ სათესლე ფონდების გამოყოფა, ან გაანიავონ და დაიტაცონ ეს ფონდები.

მოსავლიანობის კიდევ უფრო გადიდება მომავალ წელს დიდად არის დამოკიდებული თესლის ხარისხისაგან. ამიტომ თესლის შეგროვების შემოწმების დროს დაწვრილებით უნდა იქნას გასინჯული **თესლის ვარგისიანობა** და მიღებული ზომები, რომ კოლმეურნეობებმა თესლად გამოყონ პირველ ხარისხოვანი მარცვლეული.

განსაკუთრებული ნელი ტემპით მიმდინარეობს სათესლე და დასაზღვევი ფონდების გამოყოფა დასავლეთ საქართველოში. იქ მოსავლის აღება უკვე დამთავრდა, ხოლო სათესლე ფონდების გამოყოფა დღემდე დაწყებულია მხოლოდ ორ რაიონში. დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობები ეხლავე უნდა შეუდგენ სიმინდის თესლის გადარჩევას, გამოყოფას და დაჯავშნას. აგრეთვე უნდა დაჩქარდეს ყველა [illegible] კულტურების თესლის (ლობიო, სოია) გამოყოფა, რომელიც იქ გაზაფხულზე ითესება.

თითქმის ყოველწლიურად მწვავედ დგება **კარტოფილის თესლის** შეგროვების საკითხი. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აწევთ იმ რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სადაც კარტოფილი დიდი რაოდენობით ითესება. ამ ორგანიზაციებმა უნდა იცოდნენ, რომ თავიანთი მოთხოვნილება კარტოფილის თესლით მათ მთლიანად უნდა დაიკმაყოფილონ **ადგილობრივი რესურსებით** და რომ სათესლე სესხის მიღებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

გადაჭრით ბოლო უნდა მოეღოს იმ არევ - დარევას და უპასუხისმგებლობას, რომელსაც ადგილი აქვს სადაზღვევო ფონდების შეგროვებაში. არევ - დარევა კი ამ საქმეში საგრძნობია. იშვიათია ისეთი რაიონი, რომელსაც ზუსტად ქონდეს აღრიცხული სადაზღვევო ფონდები. **საგარეჯოს რაიონში** მაგალითად არ იციან 1932 წელს შეგროვილი სათესლე ფონდების რაოდენობა. სოფ. **ნატანების** (ოზურგეთის რაიონი) კოლმეურნეობაში შარშან სადაზღვევო ფონდი მთლიანად გაანაწილეს შრომა დღეების მიხედვით.

ასეთი ფაქტები ბევრია. ეს მოწმობს, რომ სათესლე სადაზღვევო ფონდების გამოყოფას, დაჯავშნას და მის წესიერად შენახვას პარტიული, საბჭოთა, [illegible] და საკოლმეურნეო ორგანიზაციები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას.

ამ ნაკლოვანებების სასწრაფოდ გამოსწორებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სადაზღვევო ფონდების შეგროვების დაჩქარებას **ერთპიროვნულ მეურნეობებში.** გადამჭრელი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს კულაკურ ელემენტებს, რომელნიც ყოველმხრივ ცდილობენ თავი აარიდონ მტკიცე გეგმით მიცემულ დავალებების შესრულებას.

მიმდინარე წლის **კარგი მოსავალი** ყველა კულტურათა ხაზით ქმნის ყოველგვარ შესაძლებლობას **მთლიანად და უმოკლეს ვადაში** იქნეს შესრულებული სათესლე და დასაზღვევი ფონდების შეგროვების გეგმები.

საჭიროა გაიშალოს მასიურ - პოლიტიკური მუშაობა ამ მიზნით. ამომწურავად უნდა განუმარტოთ კოლმეურნეებს და ღარიბ, საშუალო გლეხებს, სათესლე ფონდების შეროვების დავალებათა შესრულების მნიშვნელობა მოსავლიანობის გადიდების და პურით საკოლმეურნეო ვაჭრობის საჩქაროდ გაშლის თვალსაზრისით. უნდა გავაჩაღოთ გადამჭრელი ბრძოლა კულაკური ელემენტების წინააღმდეგობის ალაკვეთად და მობილიზაცია უყოთ მთელ მშრომელ მასებს სათესლე ფონდების შეგროვების კონკრეტულ ამოცანების ირგვლივ.

მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება სათესლე ფონდების შეგროვების საბრძოლო დავალების დროზე, უკლებლივ და მთლიანად შესრულება.

რეპრესიები ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის წინააღმდეგ

პრაგა, 14 ნოემბერი. იმისათვის, რომ „გაამართლოს“ მოსახლეობის ფართო მასების თვალში გაძლიერებული რეპრესიები კომპარტიის და მთელი რევოლუციური მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, ხელისუფლებამ დაიწყო „ანტიფაშისტური ორგანიზაციების მოღვაწეობის გამოძიება“. პოლიციის ცნობაში „გამოძიების“ შედეგების შესახებ ნათქვამია. ჩეხია-სლოვაკიის კომპარტია. თითქოს მიზნად ისახავს „ჩააბას თავის რიგებში აქტიურად განწყობილი, გერმანელი ახალგაზრდობა“ და დაუმუშავებია „არალეგალური მოღვაწეობის ახალი გეგმები“. მთელ ამ ვერსიას უფრო დამაჯერებელი სახე რომ მიეცეს, პოლიციამ ამასთან დაკავშირებით, დააპატიმრა კომპარტიის საოლქო ორგანიზაციის მდივანი პენკა და კომკავშირის ხელმძღვანელი [illegible]—ტრშევეცი და ბაგრა.

მთელი ეს საქმე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კიდევ იმიტომ, რომ გერმანელი ნაციონალ-სოციალისტების მაგალითის მიხედვით, ჩეხია-სლოვაკიის ხელისუფლება ცდილობს წაუყენოს კომპარტიას ინდივიდუალური ტერორი დაბრალოს.

პარლამენტის საბიუჯეტო კომისიაში გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი ამხ. კოპეცკი, რომელმაც განაცხადა, ჩეხია-სლოვაკიის კომპარტია, ყოველგვარი პროვოკაციების მიუხედავად, არ შეწყვეტს ბრძოლას სოციალიზმისათვის და არასოდეს არ დაადგება ბრძოლის შემცდარი მეთოდების გზას. კომპარტიას,—განაცხადა ამხ. კოპეცკიმ,—საერთო არაფერი აქვს ინდივიდუალური ტერორის მეთოდებთან. კიდევ მეტი, იგი უარყოფს ამ მეთოდებს მიაჩნია იგი მიზანშეუწონლად, მუშათა კლასის და მისი სოციალიზმისათვის ბრძოლის მაზიანებლად. კომპარტია არასოდეს არ დაიწყებს ბრძოლას ცალკეული პირების წინააღმდეგ, იგი ყოველთვის აწარმოებს მხოლოდ კლასობრივ ბრძოლას (ადს).

ბოგდანოვკა წინ მიდის, იორ-მუღანლო ჩამორჩა

(გურჯაანის რაიონი)

იორ - მუღანლოს სასოფლო საბჭოს მინდვრებზე ბამბის კრეფა თვითდინებაზეა მინდობილი. ადგილობრივი ორგანიზაციები არ ხელმძღვანელობენ კოლმეურნეთა და ერთპიროვნული მეურნეობების მუშაობას, არ აწყობენ მასობრივ გამოსვლას ბამბის საკრეფად, მიუხედავად იმისა, რომ ბამბა სავსებით მომწიფდა და მთელ რიგ უბნებზე კრეფის დაგვიანება დიდ დანაკარგებს გამოიწვევს.

სამარცხვინოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს ბამბის კრეფა, მუსაბეკოვის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე.

სექტემბრისა და ოქტომბრის განმავლობაში კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის ბამბის ჩაბარების ორი თვის გეგმა მხოლოდ 52 პროცენტით შეასრულეს.

ძალიან ჩამორჩენილია აგრეთვე, დუზარაბის სასოფლო საბჭოს „ოქტომბრის 15 წლისთავის“ სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც ბამბის ჩაბარების ორი თვის გეგმა 56,5 პროც. შეასრულა.

ორივე სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობების ჩამორჩენა შრომის სუსტი დისციპლინის, შრომის ბოლშევიკური ორგანიზაციის უქონლობის შედეგია. შრომის უნარის მქონე კოლმეურნეები მთელი შემადგენლობით არ გამოდიან მინდვრად სამუშაოზე; ხშირია გაცდენა და სამუშაოზე დაგვიანებით გამოსვლა. შესამჩნევია ბამბის დაკარგვა გადაზიდვის დროს. დაპნეულ ბამბას არ აგროვებენ, ამ საქმეს ყურადღებას არავინ აქცევს.

ამ ჩამორჩენილ უბნებთან ერთად, მათთან თანაბარ პირობებში მყოფი ბოგდანოვკის სასოფლო საბჭო (გურჯაანის რაიონი), გვაძლევს ბამბისათვის ბრძოლის ნიმუშებს. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ბამბის კრეფის კამპანიის დასაწყისიდანვე ბოლშევიკური ენერგიით მოჰკიდეს ხელი შრომის ორგანიზაციას ბამბის მინდვრებზე. ფართოდ გაშლილი მასობრივი მუშაობის და კარგად ჩატარებული სამზადისის შედეგად ბოგდანოვკის სასოფლო საბჭომ მიაღწია საუკეთესო მაჩვენებლებს ახალი მოსავლის ნედლი ბამბის მოკრეფისა, და სახელმწიფოსათვის ჩაბარების საქმეში.

წლიური გეგმით ბოგდანოვკის სასოფლო საბჭოს მინდვრებზე უნდა მოკრეფილიყო 340 ცენტნერი ნედლი ბამბა. 5 ნოემბრამდე აღნიშნული სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულმა მშრომელმა მეურნეობებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 374,4 ცენტნერი ბამბა — ამრიგად დავალება მათ **110,1 პროცენტით შეასრულეს.**

ყველაზე უფრო მაღალი რაოდენობითი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულებულ იქნა ბოგდანოვკის სასოფლო საბჭოში ბამბის კრეფის ოქტომბრის გეგმა.

კოლმეურნეობა „მშრომელმა“ (ბოგდანოვკის სასოფლო საბჭო), ბოლშევიკურად მოაწყო შრომა, შეასრულა წლიური გეგმა 155 პროცენტით და ჩააბარა სახელმწიფოს 140 ფუთზე მეტი მაღალხარისხოვანი ბამბა. ბამბის კრეფის მაღალი ტემპებისა და ხარისხისათვის, მოსავლის სახელმწიფოსადმი ჩაბარებისათვის კოლმეურნეობა „მშრომელი“ რაიონულ გაზეთის „კოლექტიური შრომის“ მიერ მოთავსებულია წითელ დაფაზე.

ბამბის მოკრეფასა და სახელმწიფოსთვის ჩაბარებაში ძალიან ჩამორჩენილმა იორ-მუღანლოს და დუზაგრამის სასოფლო საბჭოებმა უნდა მიაღწიონ გადამჭრელ გარდატეხას ამ მუშაობაში. ბამბის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის ამ ორი ჩამორჩენილი უბნის კოლმეურნეებმა, და მშრომელმა ერთპიროვნულმა მეურნეობებმა სწორება უნდა მოახდინონ ბოგდანოვკის სასოფლო საბჭოს მოწინავეებზე, მიაღწიონ ბამბის კრეფა - ჩაბარებაში მუშაობის მაღალ ტემპსა და ხარისხს. (ადს).

ბამბის საკრეფად უნდა გამოვიდეს მთელი შრომის უნარიანი მოსახლეობა

(ბორჩალო, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

ბამბის კრეფა-ჩაბარების გეგმა ბორჩალოს რაიონში წელს ძალზე არა დამაკმაყოფილებლად სრულდება. 1-ლ ნოემბრისათვის რაიონს უნდა შეესრულებია გეგმის 55 პროცენტი. ფაქტიურად 16 ნოემბრისათვის მოკრეფილი და ჩაბარებული იყო 1802,5 ტონა, რაც გეგმის 37,2 პროცენტს არ აღემატება. ბამბის მეორე კრეფა დასრულებულია, თითქმის დასრულებულია აგრეთვე მესამე კრეფაც. ალაგ-ალაგ მეოთხე კრეფა მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, იმ ნაკვეთებზე, სადაც ბამბის ნაკვეთები უკეთესად იყო მოვლილი (სოფ. კირმიზი ქენდი, ზემო და ქვემო კულარი, სარვანი, კაჩეგანი, აშალასერალი). ბამბის თვითეულ ბუჩქზე გასაშლელია კიდევ 4—5 და ზოგან მეტი პარკი. ასე, რომ მოსაკრეფი რჩება ბამბის ჯერ კიდევ საგრძნობი რაოდენობა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ **ბორჩალოს რაიონში ბოლო დროს ბამბის კრეფის ხარისხს არავითარი ყურადღება არ ექცევა. აქ საჭიროდ არ სთვლიან ბამბის შერჩევით მოკრეფას.** მათი მითითებით დაადგება ბრიგადა ამა თუ იმ ნაკვეთს და მოუკრეფავს არ სტოვებს ისეთ პარკსაც კი, რომელიც მხოლოდ გახსნილა და რომლიდანაც ბამბა ჯერ კიდევ არ გადმოშლილა.

სოფ. კაჩეგანის კოლმეურნეობამ („სოციალიზმი“, თავმჯდომარე **მამედ იმიროღლი,** ს. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მეჯრალი,** აგრონომი **შენგელია**) 16 ნოემბერს ბამბის შემსყიდველ პუნქტზე მიიტანა ამ წესით მოკრეფილი 9 ურემი ბამბა. ეს ბამბა იმდენად მოუსვლელი და ნესტიანი იყო; (სინესტე 18-19 პროცენტს აღწევდა; როცა ნორმალურად 9—10 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს), რომ შემსყიდველი პუნქტი იძულებული გახდა მოტანილი ბამბის სამი მეოთხედი უკან გაეტანებია კოლმეურნეობისათვის, ასევე დაემართა სოფ. სარვანის ამხ. სტალინის სახ. კოლმეურნეობას, რომელიც სამი დღის წინათ იძულებული შეიქნა შემსყიდველ პუნქტზე მიტანილი ბამბის დიდი ნაწილი უკანვე წაეღო.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შულავერის შემსყიდველი პუნქტი მიღებისას ბამბის სინესტის ნორმას მტკიცედ აღარ იცავს. უკანასკნელ ხანს ისეთ ბამბასაც კი ღებულობს, რომლის სინესტე 15 პროცენტამდე აღწევს. ეს გარემოება ძალიან უარყოფით გავლენას ახდენს ქარხნის შრომის ნაყოფიერებაზე და ბამბის ბოჭკოს ხარისხზე.

ხშირია ისეთი ნაკვეთები (სოფ. სარვანი, აშალასერალი, ბაიაზეთლო, კაჩეგანი) რომლებზედაც ნაწილი ბამბა ძალზე დამწიფებულია და მიწაზე ცვივა, მაგრამ **ვინაიდან მთელი ბამბა არ მომწიფებულა, მის კრეფას არ იწყებენ.**

ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ბორჩალოს პარტრაიკომმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის **პოლიტგანყოფილებამ,** დირექციამ და სასოფლო საბჭოებმა გააძლიერონ ყურადღება ხარისხისადმი. აგრონომებს, აგროტექნიკოსებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, ბრიგადირებს და ხარისხის ინსპექტორებს **უნდა დაევალოს დაუყოვნებლივ გადავიდნენ ბამბის შერჩევით მოკრეფაზე. და არ დაელოდონ იმას, თუ როდის მომწიფდება ბამბა მთელ ნაკვეთზე. ამისათვის საჭიროა მთელი შრომის უნარიანი მოსახლეობის გამოყვანა.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მოკრეფილი ბამბის **გაშრობას.** კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს, სოფ. საბჭოს წევრებს, აგრონომებს უნდა დაევალოს ამ საქმის ხელმძღვანელობა და თვალყური.

მისასალმებელია შულავერის ბამბის ქარხნის ინიციატივა: ბამბის ქარხანამ თავის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ აიყვანა აშალასერალის სასოფლო საბჭო. თვითეულ სოფელს მიამაგრა თავისი მუშაკი, რომლებიც ხელმძღვანელობენ ბამბის კრეფას, იბრძვიან თვითეული გრამი ბამბისათვის და განსაკუთრებულ ყურადღებას ხარისხს აქცევენ. აშალასერალის სას. საბჭომ ბამბის კრეფა, ჩაბარება, ბამბის ქარხნის მუშაკების ხელმძღვანელობით სამაგალითოდ უნდა დააყენოს და ამ მაგალითს მთელმა რაიონმა უნდა მიბაძოს.

ბამბის სინესტის ნორმალურ დონემდე დაყვანა ეხლა უკვე ძნელია, ამიტომ ბამბის ქარხანამ დაუყოვნებლივ უნდა მოაწყოს პნევმატიური მილი, რომლის დროსაც ბამბის სინესტე საგრძნობლად შემცირდება და ქარხანა დასამუშავებლად გამშრალ ბამბას მიიღებს.

ნ. ტყემალაძე.

ბამბის აღებას და ჩაბარებას მაღალი ტემპები და ხარისხი

საქ. ბამბის დამზადების კომიტეტის ცნობით, საქართველოს მებამბეობის რაიონებმა 15 ნოემბრისთვის **შემსყიდველ პუნქტებს ჩააბარეს 3717,8 ტონა ბამბა.** დამზადების წლიური გეგმა (8300 ტონა) შესრულებულია 44,8 პროცენტით.

კოლმეურნეობებს ჩაბარებული აქვთ გეგმის 44,1 პროცენტი (1686,3 ტ.); ერთპიროვნულ მეურნეობებს — 44,5 პროც. (1726 ტ.)

მტკიცე დავალებით კულაკებისაგან ჩაბარებულია 88,8 ტონა ბამბა.

ბამბის ჩაბარებაში ყველაზე წინ მიდის **გურჯაანის რაიონი,** — მიცემული 230 ტონიდან 14 ნოემბრისთვის ჩაბარებული აქვს 210 ტონა. გეგმა შესრულებულია 91,3 პროცენტით. **გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა გეგმა გადაჭარბებით (111,4 პროც.) შეასრულეს.** მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობებში კი გეგმა შესრულებულია 88.5 პროცენტით.

სიღნაღის რაიონიც წარმატებით ასრულებს ჩაბარების გეგმებს. მიცემული 551 ტონიდან შემსყიდველ პუნქტს 474 ტონა ბამბა ჩააბარა (შესრულებულია გეგმის 86 პროცენტი). კოლმეურნეობებმა გეგმა შეასრულეს 96 პროცენტით; ერთპიროვნულმა მეურნეობებმა — 83,1 პროც.

ლუქსემბურგის რაიონს მიცემული 448 ტონიდან 12 ნოემბრისთვის ჩაბარებული აქვს 280 ტ. ე. ი. გეგმის 62,7 პროც. კოლმეურნეობების მიერ ჩაბარებულია 79,3 პროც; ერთპიროვნულ მეურნეობების მიერ — 55,6 პროც.

ბამბის ჩაბარებაში დიდათ ჩამორჩა **საგარეჯოს** რაიონი. გეგმით გათვალისწინებული 177 ტონიდან ამ რაიონს ჩაბარებული აქვს მხოლოდ 76,5 ტონა. (გეგმის 43.2 პროც.). კოლმეურნეობებს გეგმა შესრულებული აქვთ 59,9 პროც; ერთპიროვნულ მეურნეობებს კი 14 ნოემბრისთვის გეგმა შესრულებული ქონდათ მხოლოდ 29,4 პროცენტით.

ბამბის ჩაბარებაში ყველაზე უფრო სამარცხვინოდ ჩამორჩნენ მებამბეობის ძირითადი რაიონები — **ბორჩალო და ყარაია.**

ქვემოდ მოყვანილი ცნობები გვიჩვენებს, რომ ამ რაიონებში დიდათაა შენელებული ბამბის აღება - ჩაბარების ტემპები.

ბორჩალოს რაიონმა 12 ნოემბრისთვის სახელმწიფოს ჩააბარა მიცემული გეგმის მხოლოდ 35,5 პროც. რაიონის კოლმეურნეობებს ჩაბარებული აქვთ გეგმის 38,9 პროც; ერთპიროვნულ მეურნეობებს 32,6 პროც.

ყარაიას რაიონს 15 ნოემბრისთვის ჩაბარებული აქვს 953,6 ტონა ბამბა (გეგმის 46,7 პროც.). ამ რაიონში ერთპიროვნულმა მეურნეობებმა შეასრულეს მიცემული გეგმის 61,3 პროც. ხოლო კოლმეურნეობებმა 41 პროც.

ყარაიას საბჭოთა მეურნეობამ ბამბის აღების გეგმა შეასრულა 50,8 პროცენტით. მიცემული 600 ტონა ბამბიდან აღებულია 305 ტ.

ჩამორჩენა მებამბეობის ძირითად რაიონებში საფრთხეში აყენებს ბამბის ჩაბარების გეგმების შესრულებას მთელს რესპუბლიკაში. ამიტომ, როგორც მებამბეობის ყველა რაიონებმა, ისე **განსაკუთრებით** ბორჩალოს და ყარაიას რაიონების პარტიულ ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ სასწრაფო და გადამჭრელი ზომები ბამბის ჩაბარების ტემპების გასაძლიერებლად და პარტიის მიერ მიცემულ საბრძოლო დავალებების, უკლებლივ და ვადაზე შესასრულებლად.

საფეიქრო მრეწველობას გაეგზავნა 628 ტონა დამუშავებული ბამბა

10 ნოემბრისათვის შულავერის ქარხანამ გადაამუშავა 440 ტონა ბამბა, ხოლო ყარაიასისამ — 230 ტონა.

გადამუშავებულ ბამბის საერთო რაოდენობიდან ქარხნებმა საფეიქრო მრეწველობას გაუგზავნეს 628 ტონა ბამბა. აქედან შულავერის ქარხანამ — 440 ტონა, ყარაიასისამ — 230. (ადს)

ვადამდე შესრულებულია ორი საბრძოლო ამოცანა

წალენჯიხა. 15 ნოემბერი. 15 ნოემბრისათვის რაიონში ვადამდე **5 დღით ადრე 101,3 პროცენტით შესრულებულია ჩაის უხეში ფოთლის კრეფის გეგმა.**

ჩაისათვის ნიადაგის მომზადება დამთავრდა ვადაზე **ერთი თვით ადრე 105 პროცენტით.** მთელი ძალები მობილიზებულია კოლმეურნეობებში ჩაის დანარჩენ საშემოდგომო სამუშაოთა ჩასატარებლად. კოლმეურნეობები ჩაის საბჭოთა მეურნეობას ყოველდღიურად აწვდიან სამასამდე მუშა-ხელს.

ამხ. **ბერიას** წერილის და „**პრავდა**“-ს მოწინავეს საფუძველზე გაიშალა მასიური მუშაობა თამბაქოს ჩაბარების და უკანასკნელი კვარტალის სხვა დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

რაიკომის მდივანი **ბარამია.**
რაიაღმასკომი **სარია.**
პოლიტგანყოფილება **ქავთარაძე.**

* * *

რუზველტის განცხადება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ

უახლოეს დღეებში მოელიან

ვაშინგტონი, 16 ნოემბერი. სააგენტო „ასოშიეიტედ პრესი“ აღნიშნავს, რომ „რუზველტის განცხადება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ, ალბად უახლოეს ოთხ დღეს გამოქვეყნდება“. ორი დღის წინათ,—აღნიშნავს „ასოშიეიტედ პრესი“,—პრესა რამოდენიმეჯერ გაზვიადებულად აღნიშნავდა, საბჭოთა კავშირსა და ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებამდე საჭირო იქნება უამრავი სხვადასხვა დეტალის განხილვაო. ახლა, ეს მოსაზრება ნაკლებად დასაბუთებულად გვეჩვენება.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს: იმ წრეებმა, რომელნიც ორი დღის წინათ იქნებ წინდაუხედავად ცდილობდენ პრესისათვის სათანადო ინსპირაცია გაეწიათ, კვლავ დაიკავეს თავაზიანი და თავდაჭერილი პოზიცია. ამერიკა - საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების საკითხში. გაზეთი იტყობინება, **ყველა მოელის საბჭოთა კავშირის ჩქარა ცნობას,** მაგრამ წინასწარი მოლაპარაკება „ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი ღირსების შენარჩუნებით, რათა განიარაღებულ იქნან ცნობისადმი მტრულად განწყობილი ელემენტებიო“.

კონგრესის წევრმა ფიშმა პრესის წარმომადგენლებისათვის მიცემულ განცხადებაში დაადასტურა, რომ ის საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგია, მაგრამ იწონებს რუზველტის მიერ შეთვისებულ თავაზიან და გულდასმით პროცედურას. ფიში ფიქრობს, რომ რუზველტს განზრახვა აქვს საბჭოთა კავშირთან დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა, თუ არ ასე, ის ლიტვინოვს არ მოიწვევდაო. შემდეგ ფიშმა განაცხადა, წინააღმდეგი ვარ შემდგომ უცხოეთის ყველა სახელმწიფოსათვის, მათ შორის საბჭოთა კავშირისათვის, კრედიტების მიცემისაო.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ სწერს: „თუ სიფრთხილე და ტაქტი უზრუნველყოფს მოლაპარაკების წარმატებას, მაშინ **ამერიკა-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება მთელი ასი პროცენტით წარმატებით ვითარდება.** ამერიკელები იჩენენ უდიდეს თავშეკავებას, რუსები — კი უდიდეს თავაზიანობას. ეს მეტად კარგი ნიმუშებია, თუ მოლაპარაკების დროს უთანხმოებამ იჩინა თავი, ეს უეჭველად პრესაშიც ჰპოვებს გამოხმაურებას. ამ შემთხვევაში უთანხმოებას ადგილი არა აქვს, ამიტომ პრესაც სდუმს. **რუზველტი** და **ლიტვინოვი** უფრო მეტს ესწრაფიან, ვიდრე მარტო ცნობაა,—აცხადებს გაზეთი. ისინი ესწრაფიან **ნორმალური ურთიერთობის დამყარებას.** ამ მიზნის მისაღწევად,—დაასკვნის გაზეთი,—ლიტვინოვს მოუხდება დასძლიოს მრავალი ცრურწმენა და გადალახოს მრავალი გაუგებრობა, ეს კი დროს მოითხოვს“ (ადს).

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. 14 ნოემბერს თეთრმა სახლმა განიმეორა თავისი წინანდელი განცხადება, რომ იგი ამერიკა-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების დამთავრებას მოელის ჯერ კიდევ 18 ნოემბრამდე (ადს).

საბჭოთა კავშირის ცნობის სარგებლობა ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. სან-ფრანცისკოს მსხვილი ბანკის „ბანკ ოფ ამერიკას“ ბიულეტენი აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა **დიდ სარგებლობას მოუტანს ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების წყნარ** ოკეანეს სანაპიროს მრეწველობას. ციმბირის ინდუსტრიალიზაცია,—ნათქვამია ბიულეტენში,—**გასაღების დიდ შესაძლებლობას ქმნის ჩრდილოეთ - ამერიკის დასავლეთი ნაწილის მანქანათმშენებელი ქარხნებისათვის** (ადს).

სამხედრო წრეები აძლიერებენ ზეგავლენას იაპონიის მთავრობაზე

მინისტრთა თათბირების გარშემო

ტოკიო, 15 ნოემბერი. 14 ნოემბრისათვის დანიშნული მინისტრთა თათბირი საშინაო პოლიტიკის საკითხებზე არ შედგა და არავინ იცის, როდის შეიკრიბება, სამხედრო უწყების წრეებში „მეტად უკმაყოფილო არიან მთავრობის გადაწყვეტილებით შეწყვიტოს თათბირები“. ეს გადაწყვეტილება სამხედრო წრეებს „სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებად“ მიაჩნიათ და იმის დამამტკიცებელ საბუთად თვლიან, რომ „კაბინეტი უძლურია გადადგას რაიმე ნაბიჯი ამ საკითხში, სამხედრო სამინისტროს აზრით, სოფლის მეურნეობის პრობლემის გადაჭრა მჭიდროდ დაკავშირებულია თავდაცვის საკითხებთან და ამიტომ სამინისტრო არ იწონებს მთავრობის მოქმედებას. ამის გამო ახლო მომავალში განზრახულია ოფიცრების თათბირის მოწვევა სოფლის მეურნეობის მდგომარეობის განსახილველად (ადს).

უმაღლესი სამხედრო საბჭოს სხდომა

ტოკიო, 15 ნოემბერი. შედგა უმაღლესი სამხედრო საბჭოს სხდომა: სამხედრო მინისტრმა არაკიმ და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ გააკეთეს მოხსენება, პირველმა „ჩინეთის მდგომარეობის“, მეორემ კი „შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ“ (ადს).

საპატიმრო განაჩენი რევოლუციონერ მეზღვაურთა წინააღმდეგ

განაჩენი ჰოლანდიის ჯავშნოსან „დე სევენ პროვინსიენზე“ მომხდარ აჯანყების საქმის გამო

ბერლინი, 15 ნოემბერი. სურაბაიადან (იავა) მიღებული ცნობებით, იქ გამოუტანეს განაჩენი ჰოლანდიის ჯავშნოსან „დე სევენ პროვინსიენზე“ მომხდარ აჯანყების მონაწილეთა ჯგუფს. 19 მსჯავრდადებულ მეზღვაურთაგან და ცეცხლფარეშთაგან 5 აღიარებულია აჯანყების ინიციატორებათ და მათ მიესაჯა **18 წლით პატიმრობა** თვითეულს, ხოლო დანარჩენ 14-ს მიესაჯა პატიმრობა 6-დან 16 წლამდე (ადს).

უკრაინელი ფაშისტების დაპატიმრება

პრაგა, 15 ნოემბერი. იუწყებიან, რომ პრაგაში დააპატიმრეს ბევრი უკრაინელი ემიგრანტი — „უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ წევრი. დაპატიმრებულთა შორის არიან ბერლინში მყოფ „უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ თავმჯდომარის — პოლკოვნიკ კონოვალეცის უახლოესი თანამშრომლები, აღნიშნული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ორი წევრი და ხუთი სხვა თვალსაჩინო წევრი. გაჩხრიკეს „უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ ჟურნალ „რაზბუდოვა ნაციის“ რედაქცია, აგრეთვე დაპატიმრებულთა ბინები. კონფისკაცია უყვეს მთელ რიგ დოკუმენტებს. როგორც აღნიშნავენ, დაპატიმრება გამოწვეულია იმით, რომ აღმოჩენილ იქნა კავშირი „უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ წევრებსა და ჩეხო-სლოვაკიაში მომქმედ ნაციონალ - სოციალისტების ჯაშუშთა ცენტრს შორის (ადს).

გერმანელი ფაშისტების დაპატიმრება რიგაში

რიგა, 11 ნოემბერი. პოლიტიკური სამართველო, დოქტორ შლაუს ბინაზე გერმანელი ფაშისტების არალეგალური კრებების დაპატიმრებასთან დაკავშირებით აწარმოებს კვლევა-ძიებას. შლაუსთან აღმოჩენილ დოკუმენტებს შორის იპოვეს წესდება არალეგალურ საზოგადოება „ბალტიის მხარის გერმანელთა ძმობის“, რომელიც თავის მოღვაწეობას მთელი ბალტიის მხარეში ავრცელებს. დაპატიმრებულ ფაშისტებს პასუხისგებაში აძლევენ. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ლატვიის ხელისუფალნი გერმანელ ფაშისტებს განსაკუთრებით მკაცრად არ დაუწყებენ დევნას. (ადს).

რუმინეთის ახალი კაბინეტი

ვენა, 15 ნოემბერი. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან ლიბერალების პარტიის ბელადმა **დუკამ** შეადგინა ახალი მთავრობა, რომელშიაც შედიან მარტო ლიბერალები და მათი მომხრეები.

რუმინეთის ლიბერალური პარტია არის საფინანსო კაპიტალის წარმომადგენელი. მთავრობის კრიზისის ამგვარად გადაჭრაში დიდი როლი ითამაშა საფრანგეთის ბანკების, საფრანგეთის მძიმე მრეწველობის და მათთან დაახლოებული მემარჯვენე დაჯგუფებათა გავლენამ. ამგვარად ახალი მთავრობის შემადგენლობა იმას მოწმობს, რომ იქ განმტკიცდა საფრანგეთის გავლენა.

ახალი მთავრობის პრემიერად დაინიშნა დუკა, შინაგან საქმეთა მინისტრად—ლიბერალების ბესარაბიის ორგანიზაციის ბელადი **ინკულეცი,** საგარეო საქმეთა მინისტრად დარჩა **ტიტულესკუ,** რომელიც ფორმალურად არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის და მუდამ ითვლებოდა ლიბერალებთან ახლო მდგომად.

შეიქმნა ორი ახალი სამინისტრო—შეიარაღების სამინისტრო გენერალ ანგელესკუს მეთაურობით და ავიაციის სამინისტრო, რომლის სათავეში დგას ინჟინერი რომესკუ (ადს)

ნადოლნი გაემგზავრა მოსკოვში

ბერლინი, 16 ნოემბერი. მოსკოვში გაემგზავრა გერმანიის ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში ნადოლნი.

რეიხსტაგის „არჩევნების“ შემდეგ

უცხოეთის პრესის გამოძახილი

ლონდონი, 14 ნოემბერი. „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ გერმანიის „არჩევნების“ შედეგები წინასწარვე შეიძლებოდა გაგვეთვალისწინებია. ამ არჩევნებმა უცხოეთზე მოახდინა გაცილებით ნაკლები შთაბეჭდილება, ვიდრე ამას გერმანიაში ფიქრობდენ. გაზეთი „მორნინგ პოსტი“ აღნიშნავს, რომ „ნაციონალ - სოციალისტების მიდრეკილება თეატრალობისადმი“ შეიძლება სავსებით კმაყოფილი იყოს პლებისციტის შედეგებით. მაგრამ,—სწერს გაზეთი,—**სურპრიზს წარმოადგენს ის,** რომ აღმოჩნდა ორი მილიონი კაცი, რომლებსაც შესწევდათ სიმამაცე შეეკავებინათ თავი; აღმოჩნდა აგრეთვე სამი მილიონი კაცი, რომლებმაც ხმა მისცეს „წინააღმდეგ“.

დასასრულ გაზეთი ამბობს, **ჰიტლერის** მშვიდობიანი განცხადებები არ ეთანხმება **გერინგის** და სხვების საომარ გამოსვლებს, აგრეთვე ურიცხვ სამხედრო აღლუმებს.

„თუ გერმანიას,—სწერს გაზეთი,—უნდა მშვიდობიანობა და სურს სხვებიც დააჯეროს ამაში, დეე ნუ მოიქცევა ისე, თითქოს, იგი ომისაკენ მიისწრაფოდეს“ (ადს).

ჟენევა, 14 ნოემბერი. ჟენევის გაზეთი „ტრავაი“ ბერლინიდან მიღებულ კორესპონდენციაში შემდეგნაირად აღწერს იმ პირობებს, რომლებშიაც წარმოებდა „პლებისციტი“ გერმანიაში.

ტერორმა ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ყოველ ქუჩაზე მოიერიშეთა რაზმები აიძულებდენ ამომრჩევლებს, [illegible]ლიან ხშირად ძალითაც, წასულიყვნენ საარჩევნო უბნებში. მათ **ჯგუფ-ჯგუფად მიერეკებოდენ პირდაპირ ურნასთან.** ამომრჩევლებს უნდა მიეცათ ხმა ნაციონალ-სოციალისტების მეთვალყურეობით.

ქალაქში ადგილი ჰქონდა უამრავ ინციდენტს, „ინციდენტები განსაკუთრებით ხშირი იყო მუშათა კვარტალებში, სადაც რაზმები დაიძებდენ მუშებს იმისათვის, რომ აეძულებიათ ისინი მიეცათ ხმა. იყო სროლის შემთხვევებიც. საარჩევნო ბიულეტენები, რომლებიც გამოცხადებულია უკანონოდ, შეიცავენ უამრავ ანტიფაშისტურ წარწერას და ტორგლერის, დიმიტროვის და სხვა ბრალდებულთა განთავისუფლების მოთხოვნას (ადს).

„არჩევნების შედეგები მიღწეულია იძულების და ტერორის მეთოდებით“

მოსკოვი, 12 ნოემბერი. მსოფლიო პრესა, აშუქებს რა გერმანიაში ჩატარებულ „არჩევნების“ და „პლებისციტის“ შედეგებს, ერთხმოვნად აღნიშნავს, რომ „არჩევნების“ შედეგები მიღწეულია იძულების და ტერორის მეთოდებით. ჩეხია-სლოვაკიის გაზეთები, აღნიშნავენ: „არჩევნებს“ კონტროლი არ იწეოდა და „ხმის მიცემის“ შედეგები ფალსიფიცირებულიაო. კლერიკალების ორგანო „ლიდოვე ლისტი“ აცხადებს: „შეუძლებელია სათანადოდ არ შეფასდეს იმ სამი მილიონის მნიშვნელობა, რომელთაც ჰიტლერის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადესო (ადს).

ძლიერდება საპროტესტო მოძრაობა

რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების პროცესის გამო

პარიზი, 12 ნოემბერი. საფრანგეთის რკინისგზელებმა გერმანიის საკონსულოში გაგზავნეს მთელი რიგი დელეგაციები იმისათვის, რომ პროტესტი განაცხადონ რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების პროცესის წარმოების მეთოდების წინააღმდეგ და მოითხოვონ ბრალდებულ რევოლუციონერების განთავისუფლება. ანალოგიური პროტესტი გაუგზავნა „ადამიანის უფლებათა ლიგამ“ უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე ბიუნგერს.

გერმანიის ფაშიზმის მსხვერპლთა დახმარე კომიტეტის მიერ პარიზში მოწვეულმა მიტინგმა დაადგინა გააძლიეროს კამპანია ტორგლერის, დიმიტროვის, პოპოვის და ტანევის გადარჩენისათვის (ადს)

ბრალდებანი ჰიმანსის წინააღმდეგ

პარიზი, 12 ნოემბერი. ბელგიის პარლამენტის და სენატის საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე სენატორმა დორლოდომ ბრალი დასდო ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰიმანსს და მის წინამოადგილეს იმაში, რომ ისინი საზოგადოებრივ აზრს უმალავენ გერმანიის შეიარაღების ნამდვილ მდგომარეობას. როგორც ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის წინ იყო გამოცხადებული, ელჩთა კონფერენციამ აღიარა, რომ გერმანიამ შეასრულა მისთვის ვერსალის ხელშეკრულების სამხედრო მუხლებით დაკისრებული ვალდებულებანი. დოკუმენტალურ მონაცემთა საფუძველზე დორლოდომ ცხადყო, რომ ელჩთა კონფერენციის აღიარებით, გერმანიას ჯერ კიდევ სრულიადაც არ შეუსრულებია თავისი ვალდებულებანი (ადს).

გრძელდება დოლარის კურსის დაცემა

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. ოქროს შესყიდვის ზეგავლენით დოლარის კურსი საგრძნობლად ეცემა. დოლარის კურსის შემდგომი დაცემის მოლოდინში სპეკულიანტები სწრაფად ყიდიან მთავრობის შინაგან და სხვა დოლარებში გამოხატულ სესხების ობლიგაციებს და განთავისუფლებულ დოლარებს აქცევენ უცხოეთის ვალიუტად და საბირჟო ფასიან ქაღალდებად. პრესა გამოთქვამს შიშს. რომ დოლარის კურსის დაცემა ზიანს მიაყენებს ბანკებს და შეარყევს ნდობას მთავრობის კრედიტის უნარიანობისადმი, მთავრობის ზოგიერთი მოხელე იზიარებს ამ შიშს.

ცენტრის პარტიის ყოფილ ხელმძღვანელთა პროცესი

ბერლინი, 16 ნოემბერი. მალე დაიწყება ცენტრის პარტიის ყოფილ ხელმძღვანელთა პროცესი. მათ თაღლითობა - სიყალბეს აბრალებენ. ბრალდებულთა შორის არიან ყოფილი კანცლერი მარქსი, ყოფილი მინისტრები შტეგერვალდი და ბრაუნი და რეიხსტაგის ორი ყოფილი დეპუტატი (ადს).

პარტიული მშენებლობა

კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა

უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა ადგილებზე და მათთვის დახმარება

„თვითეული კომკავშირული უჯრედი გადავაქციოთ სანიმუშოდ მომუშავე, ინიციატივის მქონე თვითმომქმედ მოძრავ კოლექტივად, რომელიც შეძლებს მასების დარაზმვას და ამოქმედებას შემდგომი ბრძოლისათვის სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში“. (ლ. ბერია)

კომკავშირის ზოგიერთმა უჯრედებმა დაკარგეს კლასობრივი სიფხიზლე

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1932 წლის 7 სექტემბრის დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნა პარტორგანიზაციების არასაკმაო ხელმძღვანელობა და დახმარება კომკავშირის მიმართ და საბრძოლო ამოცანად დასახა მუშაობის გარდაქმნა პარტიის უახლოესი თანაშემწის ბოლშევიკურად აღზრდისა და მისი კონკრეტული ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად.

ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ერთ წელზე მეტი გავიდა. უდავოა, რომ ქუთაისის პარტორგანიზაციამ ამ ხნის განმავლობაში გარკვეული მიღწევები მოიპოვა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 7 სექტემბრის დადგენილების რეალიზაციის მხრივ: გაუმჯობესდა პარტხელმძღვანელობა კომკავშირის მიმართ, მეტი ყურადღება ექცევა კომკავშირში პოლიტაღმზრდელობით მუშაობას, მათი ავანგარდული როლის გაზრდას და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ თვალსაჩინოა მთელი რიგი დეფექტები, რომელიც სათანადო გამოხატულებას პოულობს კომკავშირის მიმართ პარტიული ხელმძღვანელობის და დახმარების გაწევის საქმეში.

საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნებულ იქნა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 15 ივნისის დადგენილება სოფლად პარტუჯრედების მუშაობის გარდაქმნის შესახებ. ეს დადგენილება შეეხებოდა აგრეთვე კომკავშირის უჯრედებს სოფლად. ზოგიერთ საკოლმეურნეო და საბაზო პარტუჯრედს (პატრიკეთი, სიმონეთი, ჰოგნარი, ფარცხანაყანევი) კომკავშირის უჯრედების მუშაობის გარდაქმნაში მონაწილეობის მიღებაც კი დაავიწყდა და სამი თვის განმავლობაში ერთხელაც არ დაინტერესებულან — კომკავშირის უჯრედებში რა მუშაობა ტარდებოდა (ტყაჩირი, ჰოლევი, ცხუნკური) პარტუჯრედებს კომკავშირზე მიმაგრებული არ ყავდათ პარტამხანაგი, ხოლო ზოგან (ცხუნკური, მაღლაკი, გოდოგანი, მუხიანი) პარტუჯრედის ბიუროს მიერ გამოყოფილი ამხანაგები უმოქმედობას იჩენდნენ, არ ესწრებოდნენ კომკავშირის უჯრედის კრებებს, არ უწევდნენ მათ საჭირო დახმარებას.

კომკავშირის უჯრედების მუშაობის უკანასკნელად ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადჰყო, რომ კომკავშირის ხაზით მუშაობა ძალზე სუსტია, მასში უმნიშვნელო ადგილი უკავია სამხედრო-მასობრივ მუშაობას, იშვიათად იკრიბებიან აგროტექნიკის წრეები, პროპაგანდისტული ჯგუფები და სხვ. ცხუნკურის, მაღლაკის, გოდოგანის და ფარცხანაყანევის კომკავშირის უჯრედებში გამომჟღავნდა არასაკმაო დარაზმულობა საკოლმეურნეო ქონების დაცვასა და მუშა-საქონლის, მანქანა-იარაღების მოვლა-პატრონობაში. აი მაგალითებიც: კომკავშირელმა ძაგანიამ საქონლის ფარა შეუსია კოლმეურნეობის ბოსტანს და გაანადგურა იგი, კომკავშირელმა მესხმა (ცხუნკური) მისთვის ჩაბარებული ხარები დაასახიჩრა დაუდევრობით, კლასობრივი მტრის აგენტების ასეთ მოქმედებას კომკავშირის ტყაჩირის და ცხუნკურის უჯრედები დუმილით შეხვდნენ და აქედან არ გამოიტანეს სათანადო დასკვნა.

უნდა აღინიშნოს, რომ კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობა და დახმარება ადგილებისადმი ძალზე სუსტია. გატარებული არ არის საქ. კომკავშირის მესამე პლენუმის დადგენილება კომკავშირის აგიტბრიგადების შექმნის შესახებ; იშვიათად წარმოებს ჟურნალ-გაზეთების კითხვა კოლმეურნეობებში, სუსტად დგას კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელში ჩაბმის საკითხი: კერძოდ, გოდოგანის და საყულიას რაიონის კომკავშირული სწავლების ერთეულებში კომკავშირელები ჩაბმული არ არიან, უჯრედს კი ამ მდგომარეობისათვის დღემდე ყურადღება არ მიუქცევია.

საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი თავის 1933 წ. 13—14 ივლისის დადგენილებაში აღნიშნავდა კომკავშირის ზოგიერთი უჯრედის ძალზე სუსტ ბრძოლას და ზოგჯერ კლასობრივი სიფხიზლის მოდუნებას. ამ მხრივ ქუთაისის კ.კ. ორგანიზაციაში მუშაობა ჯერ კიდევ სუსტია. ზოგიერთი კომკავშირელი მოექცა კლასობრივი მტრის და მისი აგენტების გავლენის ქვეშ. (ქვიტირი, ტყაჩირი). მაგ., არტელ „ბოლშევიკში“ (გეგუთ-პატრიკეთის სოფსაბჭო) და გუმარისტში (ოფურჩეთი) კომკავშირელებმა სულაბერიძემ, ივანე და ნიკო ჯანელიძეებმა რელიგიურ დღესასწაულში მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ ისინი ამისათვის არავის დაუსჯია.

ხშირია შემთხვევა, როდესაც კომკავშირელებს 4—5 თვის საწევრო ანარიცხი არა აქვთ გადახდილი. მაგ., მეურნეობა „ანარიაში“ კომკავშირელებს: ბაშალეიშვილს, ძიძიშვილს, თედორაძეს, დანგაძეს 10—10 თვის საწევრო ანარიცხი აღმოაჩნდათ გადაუხდელი. ფარცხანაყანევში (არტელი „ძალა ერთობაშია“) კომკავშირელს თედორაძეს სამუშაო დღეების გაცდენისათვის ჩამოერთვა 2 შრომა-დღე, ცხუნკურში („ქართველიშვილის“ სახ. არტელი) კომკავშირელ მესხს გამომუშავებული აქვს მხოლოდ 42 შრომა-დღე, ილია ჯიმშელეიშვილს 33 შრომა-დღე. კოლმეურნეობა „ანარიაში“, სოფ. გოდოგანში და საყულიაში უპარტიო ახალგაზრდებს მეტი შრომა-დღეები აქვთ გამომუშავებული, ვიდრე კომკავშირლებს.

პარტდღემ გამოამჟღავნა, რომ კომკავშირელები და პარტწევრები და კანდიდატები—კ. შალამბერიძე, ნ. ტყეშელაშვილი (არტ. „კომკავშირელი“, მაღლაკი), შ. ხაჭაპურიძე, ბ. ვარდანიძე. (ნამახვანი, არტ. „ლენინის გზა“) არ მუშაობენ კომკავშირის ორგანიზაციებში და უარსაც აცხადებენ რაიმე დავალების შესრულებაზე. კომკავშირის მუშაობის ასეთ შეუფასებლობას წინააღმდეგ კი მიღებული არ იქნა სათანადო ზომები.

ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაცია პარტიული ორგანიზაციის მხრივ საჭიროებს სერიოზულ ხელმძღვანელობას და დახმარებას (განსაკუთრებით სოფლად). ზემოთმოყვანილი დეფექტები მოწმობენ, რომ კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა ახალი ფორმებისა და მეთოდების მიხედვით.

ვ. ლალიაშვილი.

კომკავშირელებმა უნდა გვიჩვენონ საწარმოო დავალებათა შესრულების დადებითი ნიმუშები

ტფილისის ამხ. როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ კომკავშირის მიმართ პარტიული ხელმძღვანელობის გაწევის და დახმარების საქმეში მთელი რიგი სერიოზული მიღწევები მოიპოვა. საქ. კ.პ. (ბ) ცენტ. კომიტეტის 7 სექტემბრის „კომკავშირის მიმართ პარტიული ხელმძღვანელობის გაწევის და დახმარების შესახებ და საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილებათა დამუშავების შემდეგ კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულ იქნენ პარტიული ამხანაგები, რომლებიც სისტემატიურად ესწრებიან კ.კ. უჯრედის კრებებს, კონკრეტულ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევენ მათ ყოველდღიური საკითხების გადაწყვეტაში. ორგანიზებულად ტარდება ერთიანი საკავშირო დღეები. რამდენიმე დღით ადრე კ.კ. უჯრედების ბიუროები იწვევენ სხდომებს და ამუშავებენ საკავშირო დღეზე დასმულ საკითხებს, რის შემდეგ თვითეულ კომკავშირელს აძლევენ პოლიტგანრიგს—თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღონ მათ საკავშირო დღის დღის წესრიგში დასმული საკითხების გადაწყვეტაში.

ფაბრიკა მიმდინარე წელს სამარცხვინო გარღვევებით ამთავრებს საწარმოო დავალებებს. ამის მიზეზი არის მუშა-ხელის ნაკლებობა. რას აკეთებს ამისათვის კომკავშირი? კომკავშირის ორგანიზაციამ ფართო მუშაობა გაშალა ფაბრიკის მუშახელით უზრუნველყოფისა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ჩამოყალიბდა ტექნიკის შემსწავლელი წრეები, რომლებმაც უკვე დაამთავრეს მუშაობა. ამჟამად მიმდინარეობს კომკავშირელთა ტექნიკური გამოცდისათვის მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც კიდევ უფრო აამაღლებს მუშა-ახალგაზრდობის ტექნიკური მომზადების დონეს.

კომკავშირელთა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის ჩამოყალიბებულია ორი პოლიტსკოლა ქართულ და რუსულ ენაზე. მათში ჩაბმულია კომკავშირელების მთელი შემადგენლობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პროპაგანდისტ ჩოჩუას და კირაკოსოვის დაუდევრობით პოლიტსკოლებში ხშირად იშლება მეცადინეობა. ამის გამო დაბალია სწავლების ხარისხი და მსმენელთა მეცადინეობის დასწრების პროცენტი.

ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციაში მოწესრიგებულია საწევრო ანარიცხების გადახდის საქმე. ოქტომბრის საწევრო ანარიცხი ყველა კომკავშირელს გადახდილი აქვს. ამ მიღწევებთან ერთად რ. ლიუქსემბურგის სახ. თამბაქოს ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციას მთელი რიგი დეფექტებიც ახასიათებს.

ფაბრიკაში მუშაობს 470 კაცი. აქედან 180 მუშა-ახალგაზრდა არის, მათგან კომკავშირის წევრია 64. კომკავშირელთა შორის გაშლილია სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. ინდივიდუალურ სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია კომკავშირელთა მთელი შემადგენლობა, ურთიერთ შორის დადებულია სოცშეჯიბრების ხელშეკრულებები. მაგრამ მათი შესრულების შემოწმება თვითდინებაზეა მინდობილი. დღემდე არავის არ მოუფიქრია სოცშეჯიბრების ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ობიექტების შესრულების შემოწმება. ყურადღება არ ექცევა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას. ზოგიერთი კომკავშირელები საწარმოში ვერ ამართლებენ ავანგარდულ როლს. ამის შესახებ იცის კომკავშირის კომიტეტმა, მაგრამ მათი გამომჟღავნებისა და გამოსწორებისათვის გადამწყვეტ ზომებს არ ღებულობს.

ფაბრიკაში ჩამორჩენილი კომკავშირელების გვერდით არიან მოწინავეები, რომლებიც ენერგიულად მუშაობენ, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში და გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო-საფინანსო გეგმებს. ასეთი კომკავშირელები არიან ამხ. ნიჟარაძე, რომელმაც მესამე კვარტალის საწარმოო დავალება 120 პროც. შეასრულა, ამხ. ნიშანიანი და მელიქიანი, რომლებმაც ოქტომბრის საწარმოო-საფინანსო გეგმა 160 პროც. შეასრულეს.

საქ. კომკავშირის პირველი ყრილობის 15 წლისთავის აღსანიშნავად ფაბრიკის მთელმა რიგმა კომკავშირელებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი, რომელიც ითვალისწინებდა საწარმოო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, რაც მთლიანად და გადაჭარბებით იქნა განაღდებული. მაგ.: კომკავშირის წევრები ამხ. ნიშანიანი, არაქელოვი და მელიქიანი 10 დღის განმავლობაში 65000 ცალი პაპიროსის მაგივრად ყოველდღიურად უშვებდნენ 100,000 ცალ პაპიროს. რ. ლიუქსემბურგის სახ. თამბაქოს ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციამ უფრო მეტად უნდა გაშალოს მუშაობა საქ. კომკავშირის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. დაუყოვნებლივ აღმოფხვრილი უნდა იქნეს მუშაობაში არსებული დეფექტები. ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღოს კომკავშირის მუშაობის მთლიანად გარდაქმნისათვის, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა შევძლოთ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის 1932 წ. 17 სექტემბრის დადგენილების შესრულება კომკავშირისათვის პარტიული ხელმძღვანელობის გაწევისა და დახმარების შესახებ.

ა. ა—ლი.

კომკავშირული შაბათობა ტფილისში: საქ. ალკკ-ის და „კომსომოლსკაია პრავდას“ მოწოდების საფუძველზე, 12 ნოემბერს ტფილისში ჩატარდა კომკავშირული შაბათობა.

სურათზე: მუშფაკელები შაბათობაზე აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში აგროვებენ რკინის ნამტვრევებს.

საბჭოთა კავშირში

დეპეშა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს გაზი მუსტაფა ქემალს

ანკარა.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვში დაბრუნდა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გაგზავნილი იყო თურქეთში თურქეთის რესპუბლიკის 10 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ მიიღოთ ჩემი ღრმა მადლობა იმ მეგობრული მიღებისა და გულთბილი ყურადღებისათვის, რაც პირადად თქვენ, თურქეთის მთავრობამ და თურქეთის ხალხმა გაუწიეთ საბჭოთა მთავრობის დელეგაციას. საბჭოთა დელეგაციას, რომელიც ეწვია მეგობრულ თურქეთის რესპუბლიკას მის ერთიერთ ყველაზე უფრო სახელოვან წლისთავზე, საშუალება ჰქონდა უშუალოდ გაცნობოდა ახალი თურქეთის მიერ პოლიტიკის, ეკონომიკის და კულტურის დარგში მიღწეულ უდიდეს წარმატებებს, რომლებიც უზრუნველყოფილ იქნა თურქეთის ხალხის გმირობით და თქვენი საუკეთესო ხელმძღვანელობით. თქვენმა გულითადმა ყურადღებამ საბჭოთა მთავრობის დელეგაციისადმი გამოიწვია ის, რომ მისი მონაწილეობა თურქეთის რესპუბლიკის 10 წლისთავის დღესასწაულში ამასთანავე გადაიქცა თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დემონსტრაციად, მეგობრობის, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა იმ პერიოდში, როცა თქვენის ხელმძღვანელობით ახალი თურქეთი შევიდა თავისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ყველაზე უფრო გმირულ პერიოდში.

დაუვიწყარი შთაბეჭდილება, რომელიც მიიღო საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ, თურქეთში ყოფნიდან, ადასტურებს ჩვენი ქვეყნების ხალხთა განვითარების იმ ისტორიული გზის სისწორეს, რომელმაც მიიყვანა ისინი სრულ ურთიერთ გაგებამდე, მჭიდრო თანამშრომლობამდე და ურყევ მეგობრობამდე. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის გამგზავრება თურქეთში და ის გულითადი შეხვედრა, რომელიც მას იქ მოუწყვეს, ხელს შეუწყობენ ამ მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას და ჩვენი ქვეყნების უფრო ნაყოფიერ თანამშრომლობას. გთხოვთ მიიღოთ ჩემი უაღრესად გულწრფელი საუკეთესო სურვილები თურქეთის ხალხისა და პირადად თქვენდამი.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:—
მიხეილ კალინინი.

14 ნოემბერი. 1933 წ.

გაცდენებთან ბრძოლის შესახებ სსრკ სახკომსაბჭოს დეკრეტის წლისთავი

მოსკოვი, 15 ნოემბერი. „კომსომოლსკაია პრავდა“ მთელ გვერდს უძღვნის გაცდენებთან ბრძოლის შესახებ ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოს დეკრეტის გამოქვეყნების წლისთავს.

მოკლე ციფრობრივი ცნობები, საუბარი ყოფილ გამცდენებთან, რომლებიც ახლა უკვე მოწინავე მუშები არიან, ცოცხალი საინტერესო მასალა - ნარკვევები, და სტატიები, ცალკე ქარხნების მოკლე ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ სცვლის საწარმოს სახეს მუშების ბრძოლა დეკრეტის განხორციელებისათვის, — ყოველივე ეს ცხადყოფს უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა და აქვს მთავრობის დეკრეტს.

საინტერესოა ფაქტები. სახალხო - სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს ცნობებით, 1932 წლის პირველ კვარტალში საბჭოთა რუსეთის და უკრაინის მრეწველობის თვითეულ მუშაზე საშუალოდ მოდის 1,22 გაცდენა არასაპატიო მიზეზით, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში,—ხუთჯერ ნაკლები. და ასე კვარტალიდან კვარტალამდე. აგვისტოში გაცდენა, გასულ წელთან შედარებით, ერთიორად შემცირდა.

„კანონი გაცდენების შესახებ,—სწერს „კომსომოლსკაია პრავდა“,—მძლავრი იარაღად გადაიქცა შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში. მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში მანქანათმშენებელ მრეწველობაში ჩვენ მივაღწიეთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას საშუალოდ 21,9 პროცენტით, ავტო-სატრაქტორო მრეწველობაში — 63,7 პროცენტით

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის თვითეული პროცენტი ჩვენს მრეწველობაში მიმდინარე წელს 20 მილ. მანეთს უდრის“ (ადს).

როგორი უნდა იყოს ბოლშევიკი-პროფესორი

პროფესორ ვასილ რობერტის ძე ვილიამსის წმენდა

მოსკოვი, 15 ნოემბერი. „პრავდა“ ბეჭდავს ვრცელ მასალას ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბოლშევიკ-პროფესორის ვასილ რობერტის ძე ვილიამსის წმენდის შესახებ.

წმენდამ სტუდენტობას დაანახვა, თუ როგორი უნდა იყოს ბოლშევიკი-პროფესორი.

ცარიზმის დროს ვილიამსი იყო პეტროვის აკადემიის დირექტორი, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მთავრობა მტრულად და ეჭვის თვალით უყურებდა პროფესორს, რომლის უდიდეს პოპულარობას სტუდენტობას შორის მას არაკეთილსაიმედო პირად ხდიდა, მან არაერთხელ სცადა ვილიამსის გაძევება აკადემიიდან, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს: ძალიან დიდი იყო მისი როგორც მეცნიერის, ავტორიტეტი.

იმ მეცნიერთაგან განსხვავებით, რომლებსაც არასოდეს არ უნახავთ მინდორი, „სამეცნიერო ხარისხის მქონე გლეხი“ ვილიამსი ცდილობდა გამოეტანა მეცნიერება კაბინეტიდან და ასწავლიდა ცხოვრება დაენახათ.

ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღიდანვე ვილიამსი ენერგიულად ჰკიდებს ხელს შემოქმედებითი სამეცნიერო მუშაობას. მთელი თავისი 45 წლის მეცნიერული მოღვაწეობა ვილიამსმა მოანდომა ახალი მოძღვრების შექმნას ნიადაგთმცოდნეობის და მიწათმოქმედების შესახებ. 1924 წელს მეცნიერული დამსახურებისა და აქტიური მუშაობისათვის საბჭოთა სახელმწიფოს გასამტკიცებლად ვილიამსი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. თავის მუშაობაში იგი აქტიურად ებრძოდა ჩაიანოვის რეაქციულ-ნაროდნიკულ თეორიებს და მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომელიც თავის დროზე კონტრ-რევოლუციური კონდრატიევშჩინის ბუდეს წარმოადგენდა, იბრძოდა წვრილნაკვეთებად ხვნის თეორიის წინააღმდეგ.

ბუნებრივია, რომ ამ გამოჩენილი პროფესორ-ბოლშევიკის წმენდას ყველა სტუდენტი დაესწრო. გასასვლელები, ფანჯრების რაფები და მთელი დარბაზი ხალხით გაჭედილი იყო. მებრძოლი პროლეტარული ახალგაზრდობა არ ფარავდა თავის სიამაყეს, იგი მოვიდა არა მარტო იმისთვის, რომ დაედასტურებინა სიყვარული მეცნიერების მეთაურისადმი, არამედ აგრეთვე იმისთვის, რომ ესწავლა მისგან, თუ როგორ უნდა შეათავსოს მარქსიზმ-ლენინიზმი სპეციალურ სამეცნიერო გამოცდილებასთან ცოდნის თვითეულ დარგში (ადს).

აერომატარებლის პირველი დინამიური მოდელის გამოცდა

მოსკოვი, 13 ნოემბერი. 13 ნოემბერს კულტურისა და დასვენების პარკში დაიწყო ვალდნერის სისტემის აერომატარებლის პირველი დინამიური მოდელის გამოცდა. მოდელი — ზეჩქარი მატარებლის ნატურალური სიდიდის 12-ჯერ უფრო ნაკლებია. იგი დამზადებულია მენჟინსკის სახელობის ქარხნის გამომგონებელ მუშათა აქტივის მიერ.

სურათზე: აერომატარებლის მოდელი.

აერომატარებლის მოდელის გამოცდამ ცხადჰყო მაღალი საექსპლოატაციო თვისებანი

მოსკოვი, 16 ნოემბერი. ინჟენერ ვალდნერის კონსტრუქციის ჰაერომატარებლის მოდელის გამოცდა ძირითადად დამთავრდა. გამოცდამ ცხადჰყო მოდელის მაღალი საექსპლოატაციო თვისებანი. ზესწრაფი მოძრაობის პრობლემა გადაჭრილია.

ჰაერომატარებლის გამომგონებელი ვალდნერის განცხადებით, მუშაობის შემდეგი ეტაპი იქნება ჰაერომატარებლის ნამდვილი ვაგონის და გზის საცდელი უბნის აგება. გზათა სახალხო კომისარიატის რკინის გზის ტრანსპორტის რეკონსტრუქციის ბიურომ აუცილებლად მიიჩნია 20 კილომეტრიანი საცდელი უბნის აგება. უკვე დამუშავებულია 80 ადგილიანი ვაგონის პროექტი.

ჰაერომატარებლის სიჩქარე შეიძლება აყვანილ იქნას 260 კილომეტრამდე საათში. გამოცდა გრძელდება (ადს).

კიდევ უფრო გავაძლიეროთ საგზაო მშენებლობის ტემპები

მე-17 პარტკონფერენციამ თავის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ ურელსო გზების მშენებლობის ტემპები მეორე ხუთწლედში უფრო სწრაფი უნდა იქნეს, ვიდრე სხვა სახის ტრანსპორტის.

ეს ამოცანა პირდაპირი შედეგია გზების სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის გაზრდილი მოთხოვნილებებისა.

საბჭოთა საქართველომ ცარიზმისა და მენშევიკურ მთავრობისაგან მემკვიდრეობით მიიღო საჭაპანო ტრანსპორტისათვის ძნელად სავალი და ავტომობილებისათვის გაუვალი გზები.

საბჭოთა საქართველომ თავისი არსებობის პირველ დღიდანვე სერიოზული ყურადღება მიაქცია ურელსო გზების მშენებლობას.

1922 წლიდან 1923 წლამდე კაპიტალურად აღდგენილ იქნა საქართველოს სამხედრო გზა.

საქართველოს საგზაო ქსელის აგებას, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკასთან შეფარდებით, საფუძვლად დაედო შემდეგი პრინციპები:

1. აღდგენითი სამუშაოების და ისეთი გზების მშენებლობის გაძლიერება, რომლებსაც ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ.
2. იმ გზების მშენებლობა, რომლებიც კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილ ეროვნებებს და რაიონებს აძლევენ გამოსავალს სამრეწველო ცენტრებისაკენ. „
3. სამხედრო მნიშვნელობის მქონე გზების აღდგენა და მოვლა თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების მიზნით.

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში საგზაო მშენებლობის ხაზით უმთავრესად წარმოებდა აღდგენითი სამუშაოები, თუმცა უკვე მაშინ დაიწყო მუშაობა ზოგიერთი გადაუდებელი გზის გასაყვანად ჩამორჩენილ რაიონებში (ზემო - სვანეთის, სურამ-ძირულის).

რადგან გზები ძალიან გაფუჭებული იყო და არ იყო უზრუნველყოფილი, ერთის მხრივ მექანიკური სამუშაო იარაღების და ტრანსპორტის საკმაო რაოდენობით, მეორე მხრივ, ფულადი ასიგნობებით; — საგზაო მშენებლობა აღდგენითს პერიოდში და პირველი ხუთწლედის პერიოდში ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს რაც ჩანს ქვემოთმოყვანილი ცხრილიდან:

მანძილი. კილომეტრობითი ასიგნობები

წელი	კილომეტრი	მანეთი
1924	1270	600
1928	1945	800
1933	2200	1500

როგორც ზემოთმოყვანილ ცხრილიდან ჩანს, პირველი ხუთწლედის დამლევს საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების ქსელი შეადგენდა 1924 კილომეტრს.

პირველ ხუთწლედში გაყვანილ და რეკონსტრუირებულ იქნა 340 კ.-მ. გზა, აქედან 108 კილომ. 1932 წელს.

ამავე ხნის განმავლობაში კაპიტალური რემონტით აღდგენილ იქნა 340 კილომ., აქედან 1932 წელს—65 კილომ.

პირველ ხუთწლედში ხიდები აშენდა 2677,7 მეტრი, აქედან 1932 წელს—624,3 მეტრი, კაპიტალურად შეკეთებულ იქნა 1928,7 მეტრი, აქედან 1932 წელს—771 მეტრი.

მოყვანილი ციფრები გვიჩვენებენ წლიურ მუშაობის თვალსაჩინო ზრდას საგზაო მშენებლობაში პირველი ხუთწლედის დამლევს, რაც აიხსნება იმით, რომ საგზაო მშენებლობის გეგმები დაუკავშირდა საქართველოს სახალხო მეურნეობის საერთო განვითარებას, რომელმაც მოითხოვა არსებული გზების რემონტის და ახალი გზების მშენებლობის გაძლიერება წნორი-ყარაგაჩი - წითელი წყარო - მირზაანი, ზემო-სვანეთის, სურამ-ძირულის, ფშავ-ხევსურეთის, ფოთი-სუფსის და ჭიათურა - საჩხერის გზები, მთელი რიგი სამეურნეო გზები, შავიზღვის გზატკეცილის და სამხრეთ-ოსეთის გზების რეკონსტრუქცია.

ფულადი ასიგნობების ზრდასთან ერთად ხუთწლედის დამლევს უაღრესად გაიზარდა აგრეთვე საგზაო სამუშაოებზე სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გამოყენება.

თუ 1930 და 1931 წლებში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით შესრულებულ სამუშაოთა საერთო ღირებულება ცოტათ აღემატებოდა 5 მილიონ მანეთს, მარტო 1932 წელს შრომითი მონაწილეობით შესრულებულ იქნა 8.300.000 მანეთის სამუშაო.

რაიონულ პარტიულ და პროფორგანიზაციების მიერ კომკავშირის მონაწილეობით ფართოდ გაშლილ მასობრივ - ახსნაგანმარტებითი მუშაობის მეთოდებით შეიქმნა საქართველოს სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ტრადიცია, რამაც შესაძლოდ გახადა იმ სამუშაოთა მოცულობის თვალსაჩინოდ გადიდება, რომლებიც საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე სრულდება მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით.

1932 წელს დაიწყო სამეურნეო თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი მაგისტრალების—კახეთ-ქართლ იმერეთის და ტფილის - ბოგდანოვკის გზების მშენებლობა, რომლებსაც წინათ არავითარი ყურადღება არ ექცეოდა.

საგზაო მშენებლობის ტემპების გაძლიერების შედეგად, 1933 წელს გზების ქსელი გაიზარდა 2.200 კილომეტრამდე, ნაცვლად ომამდე არსებული 1210 კილომეტრისა, ე. ი. გაიზარდა 80 პროცენტით.

საქართველოში 1933 წელს საგზაო მშენებლობისათვის დასახარჯი საერთო თანხა განაწილებულია შემდეგნაირად:

საკავშირო და რესპუბლიკური გზებისთვის: მიმდინარე რემონტზე —1.980.000 მან., კაპიტალურ მშენებლობაზე—11.746.000 მან., სულ 13.726.000 მან., აქედან სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობაზე მოდის 3.755.200 მან.

წარსულ 3 კვარტალში შესრულებულია სამუშაოები სახარჯთაღრიცხვო (საგეგმო) ფასებში: მიმდინარე რემონტის დარგში—2.125.200 მან. კაპიტალური მშენებლობის ხაზით—9.300.500 მან., რაც შეადგენს გეგმის 80 პროც.-ს ამ თანხაში შედის სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა — 4.748.000 მან., რაც გეგმას 26 პროცენტით აღემატება.

გეგმით გათვალისწინებული იყო გზების სავალი ნაწილის დატკეპნა 105,9 კილომეტრზე. 1933 წლის სამი კვარტალის განმავლობაში დატკეპნილ იქნა 123,8 კილომეტრი, რაც წლიურ გეგმას აღემატება 17 პროც.

1933 წელს აშენდა ახალი გზები—ხრეშიანი 140 კილომ. (ზემო-სვანეთის გზა, ტფილის - ბოგდანოვკის და კახეთ - ქართლ-იმერეთის გზები) და გზატკეცილი 15 კ.-მ. წნორი-ყარაგაჩი-წითელი წყარო-მირზაანის გზაზე, ცხინვალ - ჯავა-როკის ხაზზე 20 კილომ. მანძილზე გზის გაფართოება და დაფენების შესწორება ჩატარდა მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით.

1932 წელს მდინარე მაგანზე სოფ. ჯვართან აგებულ იქნა საბჭოთა კავშირში პირველი ვანტებიანი ხიდი 80 მეტრის სიგრძისა, რაზედაც დაიხარჯა 450.000 მანეთი, მდინარე ჯურუჩულაზე მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით აშენდა რკინის ხიდი ქვის საყრდენებზე 30 მეტრის სიგრძისა.

მდინარე ყვირილაზე შენდება ხიდი სიგრძით 240 მეტრი. ხიდის აგება დაჯდება 1.800.000 მანეთად.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე დავალების მიხედვით სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები უნდა შესრულებულიყო 6.885.000 მან., შემხვედრმა გეგმამ ეს თანხა გაადიდა 10 მილიონ მანეთამდე.

მესამე კვარტალში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით შესრულებულ იქნა სამუშაოები 12.713 ათასი მან. ნატურბეგარით და 1.526 ათასი მან. საკომპენსაციო თანხებით, რაც უდრის დავალების 197 პროც., ხოლო შემხვედრი გეგმის 142 პროც.

ამ შედეგებს საგზაო მშენებლობაში სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ხაზით საქართველომ მიაღწია შრომითი მონაწილეობის ერთთვიურის გატარებით და მასების აქტივობის მობილიზაციით.

მიუხედავად ამისა, ეს წარმატებანი სავსებით ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს და საგზაო მშენებლობა ჯერ კიდევ ვიწრო ადგილად რჩება საქართველ. მთელი სახალხო მეურნეობის სისტემაში.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებს ჯერ კიდევ არ მოეპოვებათ გზატკეცილები (ზემო-სვანეთი, ქვემო-სვანეთი, ხევსურეთი, თუშეთი, ხორაგაულის რაიონი და ონის, ჭიათურის, წალკის რაიონების ნაწილი და სხვა).

საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილების ქსელი, რომელთა მახლობლად შენდება ახალი და ფართოვდება არსებული სამრეწველო საწარმოები, ეწყობა კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი, კომბინატები, სანიტარულ - ჰიგიენური და კულტურული დაწესებულებანი (კურორტები), მალე ფუჭდება ავტომობილების ინტენსიური მოძრაობის გამო. ყოველივე ეს მთელი სიგრძე - სიგანით აყენებს ამოცანას კარგად მოუაროთ იმ ქსელს და კიდევ უფრო მეტის ენერგიით და თავდადებით განავითაროთ ახალი გზების მშენებლობა.

ხ. ზ.

რესპუბლიკური თათბირი ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე

ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის ამოცანები ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში

ამხ. ე. ბედიას მოხსენება

— ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის შექმნას და მის განვითარებას პარტია დიდ ყურადღებას აქცევს. ამის შესახებ ჩვენ გვაქვს საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება, საკავშირო კომკავშირის ც. კ-ის, განსაკუთრებით მისი უკანასკნელი პლენუმის დირექტივა საბავშვო ლიტერატურის შემდგომი განვითარების შესახებ, უკანასკნელ ხანებში ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის საკითხებს უდიდეს ყურადღებას აქცევს აგრეთვე საბჭოთა პრესა. ამ მხრით ცნობილია ამხ. მაქსიმ გორკის არა ერთი გამოსვლაც პრესაში.

ყველა ამის მოგონება—ამბობს ამხ. ბედია—საჭიროა იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ მოუთითოთ ახალგაზრდობის და საბავშვო ლიტერატურის უდიდეს მნიშვნელობასა და როლზე მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

საბჭოთა სკოლა მიზნათ ისახავს აღზარდოს ყოველმხრივ განვითარებული ახალ გაზრდა თაობა, რომელიც ბოლომდე მიიყვანს უკლასო სოციალისტურ საზოგადოების აშენების ამოცანას. ამიტომ შემთხვევითი როდია, თუ ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის წინაშე ჩვენ ვაყენებთ ამოცანას—ხელი შეუწყოს ახალი თაობის აღზრდას.

წინადაც არსებობდა საყმაწვილო, საახალგაზრდო ლიტერატურა. იგი იყო მრავალნაირი, მაგრამ ეს მემკვიდრეობა ძირითადათ შეუღებელია ჩვენთვის. ის უმეტესად იყო მეშჩანური, ბურჟუაზიულ-აზნაურული ლიტერატურა. იქ იყო მეშჩანური გემოვნების რომანტიკა, მოწოდება მშრომელთა ექსპლოატაციისაკენ, რელიგიის ქადაგება. ამიტომაა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ასეთი მემკვიდრეობა. იგი არა თუ სასარგებლო, არამედ საზიანოა მოზარდი თაობისათვის, რომელიც იზრდება კომუნისტური იდეების საფუძველზე.

ძველი ლიტერატურიდან ჩვენ უნდა გამოვიყენოთ კლასიკოსების ნაწარმოები და სახალხო ეპოსი. რა თქმა უნდა ეს მოითხოვს კულტურული მემკვიდრეობის ლენინურ, ბოლშევიკურ დაძლევას.

ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის შექმნის და განვითარებაში ჩვენ, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ისე კერძოთ საქართველოში თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს. მაგ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საბავშვო წიგნები თუ თითზე ჩამოსათვლელი იყო, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლიდან 1932 წლამდე გამოიცა 500-ზე მეტი სახელწოდების წიგნი. წიგნების გამოცემასა და ტირაჟის განუწყვეტლივ ზრდასთან ერთად გაუმჯობესდა გამოცემული ლიტერატურის შინაარსიც.

ჩვენ გვყავს ბევრი საუკეთესო მწერალი როგორც ძველი კადრებიდან, ისე კომკავშირელ მწერლებიდან, რომლებმაც მოგვცეს ბევრი საინტერესო საბავშვო ნაწარმოები. არიან საბჭოთა მწერლები ძველი კადრებიდან, რომლებიც გადადიან საბავშვო თემებზე სამუშაოდ.

ახალგაზრდა მწერლებიდან ამ მხრით უსათუოდ აღსანიშნავია პოლუმორდვინოვის, აბაშიძის, მაშაშვილის, ჩხიკვაძის, დაფნარელის, კაშმაძის და სხ. მუშაობა. მწერალთა ძველი კადრებიდან კი ქუჩიშვილი, მღვიმელი, ნინო ნაკაშიძე, გაბაშვილი, ქიაჩელი, მარიჯანი, ცქვიტი და სხვ.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ჩვენ გვყავს საბჭოთა მწერლების საკმაო კადრი, რომლის დახმარებით უსათუოდ შევძლებთ ჩვენი ეპოქის შესაფერის, საბავშვო სოციალისტური ლიტერატურის შექმნას და განვითარებას.

მწერლისათვის ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის დარგში მუშაობა საამაყო საქმეა. რუსეთში მხატვრული სიტყვის ისეთი დიდი ოსტატებიც კი როგორიცაა მაგ. ალ. ტოლსტოი, ილ. ერენბურგი და სხ. უკანასკნელ ხანებში ნაყოფიერად მუშაობენ საბავშვო ლიტერატურის დარგში. საქართველოში კი ზოგი მწერალი სათანადოდ არ ფასებს საბავშვო ლიტერატურას. ასეთი განწყობილება უნდა აღმოვფხვრათ. ჩვენი პარტია ახალგაზრდობის და საბავშვო ლიტერატურის შექმნასა და განვითარებას თვლის ერთ-ერთ უაღრესად საპატიო და პასუხსაგებ საქმედ კულტურული მშენებლობის დარგში. ახალგაზრდობისა და საბავშვო თემებზე წერა რთული საქმეა.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში შეურყევლად იზრდება ახალგაზრდა მკითხველთა მასა. ამას ხელი შეუწყო საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებამ. ჩვენ ძირითადათ დავამთავრეთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, დაწყებულია და უახლოეს წლებში უზრუნველყოფთ საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გატარებას საშუალო სკოლის ფარგლებშიაც. ყველა ამან შექმნა უმაგალითო მოთხოვნა ლიტერატურაზე.

გადაჭრით გაიზარდა კომკავშირლების იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე. კომკავშირლები ახლა მოითხოვენ ახალ, შინაარსით მდიდარ და მიმზიდველ მხატვრულ, ტექნიკურ და მეცნიერულ წიგნებს, რამდენად უპასუხებს ამ მოთხოვნას გამოცემული ლიტერატურა?

ამ მხრით მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მოთხოვნას ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებთ. ვერც გამოცემული წიგნების რაოდენობით და, რაც მთავარია, ვერც ხარისხით. გამოცემული ლიტერატურის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია. თავისი იდეურ, პოლიტიკური და მხატვრული ღირსებით ამ ლიტერატურის მეტი ნაწილი ვერ პასუხობს პარტიის მიერ დასმულ ამოცანას საბავშვო ლიტერატურის დარგში.

შემდეგ ამხ. ბედია დაწვრილებით შეჩერდა საკითხზე — თუ როგორი და რა შინაარსის საბავშვო წიგნი გვჭირია ჩვენ. ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ ისეთ ლიტერატურის შექმნის შესახებ,—აღნიშნა მან—რომელიც თავისი შინაარსით იქნება სოციალისტური და რომელიც ასახავს ბოლშევიკურ პარტიის, ლენინური კომკავშირის, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის და კოლმეურნეების გმირულ ბრძოლას უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისთვის. პარტიის მიერ ამ დარგში დასმული ამოცანა სწრაფად უნდა გადავწყვიტოთ უმოკლეს დროში ახალგაზრდობამ უნდა მიიღოს ბოლშევიკური, მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურა.

გვაქვს თუ არა ჩვენ ამის შესაძლებლობა, როგორია ჩვენი რესურსები ამ მხრით? ჩვენ გვყავს საბჭოთა მწერლების კადრი, გვყავს მეცნიერულ - ტექნიკური მუშაკები, გამოცდილი მასწავლებლები, რომლებთაც შეუძლიათ დიდი დახმარება გაგვიწიონ მაღალხარისხოვანი საბავშვო წიგნის შექმნაში. ჩვენ ისინი უნდა გავიწვიოთ საბავშვო ლიტერატურაში, ჩავაბათ ამ მუშაობაში.

მეორე მხრივ ჩვენ ვქმნით და ვამტკიცებთ საგამომცემლო ბაზას. აქამდე, საერთო ლიტერატურულ პროდუქციაში საბავშვო წიგნს უმნიშვნელო ადგილი ეკავა. ამ მდგომარეობის გაგრძელება აღარ შეიძლება მოთმენა. ამ მხრით გადამწყვეტი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ საგამომცემლო ორგანოებს, სახელგამს, „ტექნიკა და შრომას“ და „ფედერაციას“.

შემდეგი ამოცანაა რუსულსა და სხვა მოძმე ერების ენებზე არსებული საბავშვო ლიტერატურის გადმოთარგმნა ქართულად. გაბედულად უნდა გამოვიყენოთ რუსული მწერლობა, სადაც მოიპოვება საუკეთესო და საინტერესო საბავშვო წიგნები. უნდა გამოიცეს კლასიკოსები და სახალხო ეპოსის ნიმუშები.

ახალგაზრდობისათვის უნდა ვწეროთ მრავალფეროვან თემებზე. უნდა ვწეროთ ბოლშევიკური პარტიისა და ლენინური კომკავშირის ისტორიაზე, ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობაზე, მუშებისა და გლეხების ბრძოლაზე განთავისუფლებისათვის, სამოქალაქო ომის პერიოდზე; კლასობრივი ბრძოლის ფონზე უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საკითხებზე, ახალ ადამიანზე, მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის განვითარებაზე და სხვ.

ჩვენ უნდა შევქმნათ მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა და შევასწავლოთ მოზარდებს ტექნიკის განვითარება და შრომის პროცესი. ესაა ერთერთი გადამწყვეტი ამოცანა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდობის და საბავშვო მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ ბელეტრისტიკის შექმნას, საინტერესო, ემოციონალური და მიმზიდველი ბელეტრისტულ ნაწარმოებთა შექმნას, რომელიც იქნება რეალისტური — ასახავს სინამდვილეს.

სოციალისტური რეალიზმი, რომელიც საბჭოთა მწერლის ლიტერატურული პრაქტიკის მეთოდს წარმოადგენს, მწერლისაგან მოითხოვს გადაჭრით დადგეს კომუნისტურ პოზიციაზე. სოციალისტური რეალიზმი არ უარყოფს რომანტიკას. ჩვენ გვესაჭიროება რომანტიკაც, ფანტაზიაც, ზღაპარიც, მაგრამ ყველა ეს უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი მშენებლობის და ჩვენი კლასის ინტერესებიდან.

ამხ. ბედია შეეხო ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის ჟანრის საკითხსაც (ნარკვევი, მოთხრობა, პოემა, ლექსი, სატირა, ფანტასტიური რომანი, იუმორი, ზღაპარი) და დასასრულ აღნიშნა ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობა.

— ჩვენმა ზოგიერთმა მწერალმა,—თქვა ამხ. ბედიამ,—საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 23 აპრილის დადგენილება გაიგეს ისე, თითქოს პოლიტიკა ბავშვებისათვის არ იყოს საჭირო, თითქოს პოლიტიკურ თემებზე ბავშვებისათვის არ უნდა ვწეროთ. ეს ც. კ-ის დადგენილების აზრის დამახინჯებაა. რასაც სასტიკად უნდა დავარტყათ. აპოლიტიურობას ჩვენი კლასობრივი მტრები ქადაგებენ. ჩვენ ბავშვები უნდა აღვზარდოთ პოლიტიკურად, კომუნისტურად პარტიის პროგრამის საფუძველზე. ამას უნდა ემსახურებოდეს ახალგაზრდობის და საბავშვო ლიტერატურა.

ამხ. ბედიას შემდეგ, თანამოხსენებით ახალგაზრდობის და საბავშვო ლიტერატურის მდგომარეობასა და ამოცანებზე საქართველოში და სახელგამის მუშაობაზე ამ დარგში გამოვიდა ამხ. აკ. რეხვიაშვილი.

საწარმოების დამკვრელთა გამოძახება

ტრიბუნაზეა ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა

გაუტოლდით ფაბრიკის მოწინავე დამკვრელებს

ახალი მუშების კვალიფიკაციის ამაღლებას მეტი ყურადღება

1933 წელს ქუთაისის ტანსაცმელის სამკერვალო № 4, ფაბრიკამ ქვეყანას უნდა მისცეს 5.500.000 მანეთის პროდუქცია. წელს ფაბრიკის მუშათა რიცხვი ერთი-ორად გაიზარდა (304-დან — 609-მდე). გაიხსნა სამი ახალი საამქრო, რომლებშიც 141 კაცი მუშაობს; მიუხედავად მუშათა რიცხვის ზრდისა, ფაბრიკა მაინც მუშა - ხელის ხიმცირეს განიცდის. ჯერ კიდევ ძლიერია მუშათა დენადობა; მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მიღებულ იქნა 162 მუშა, წავიდა 151. მე-3 კვარტალში მიღებულ იქნა 321, წავიდა 253; ოქტომბერში მიღებულია 41 მუშა, წავიდა 72. დენადობის მიზეზია საცხოვრებელი ბინების ნაკლებობა, რის გამო მუშები ხშირად სტოვებენ ამ საწარმოს და ეძებენ უკეთეს პირობებს.

სუსტად არის დაყენებული ტექმინიმუმის წრეების მუშაობა, შექმნილი არ არის პირობები ახლად მოსული მუშების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. მაგ., ხალათების საამქრო № 2-ში ოცდაერთი ახლად მოსული მუშა, დღემდე არ არის ჩაბმული ტექმინიმუმის წრეებში.

მუშათა დაბალმა კვალიფიკაციამ თავისებურად იმოქმედა გეგმის შესრულებაზე, პირველ კვარტალში, პროდუქციის გამოშვების გეგმა 94 პროც. შესრულდა, მეორე კვარტალში — 76,3 პროც., მესამე კვარტალში — 85,3 პროც. მეორე კვარტალში წუნი 8,6 პროც. შეადგენდა; მთელი რიგი ღონისძიებების შედეგად წუნი მესამე კვარტალში 2 პრ. დავიდა. მიუხედავად ამისა, ცალკე საამქროებში (შარვლის დამამზადებელი № 8, საცვლების — № 9) წუნი ისევ მაღალ პროცენტს იძლევა.

აბჰესის მიერ ელდენის მოწოდების ხშირად შეწყვეტის გამო ფაბრიკა ბევრჯერ ცდება. მაგ., ოქტომბერში ელენერგიის მოუწოდებლობით გაცდა 2.404 კაცსაათი, მანქანების გაფუჭების მიზეზით 304 კაცსაათი, ყველა ამან სათანადო გავლენა იქონია გეგმაზე — ოქტომბრის გეგმა 92 პროც. შესრულდა. საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება, ფაბრიკის შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველსაყოფად.

ვ. ლ—ი.

შევისწავლე მანქანის საიდუმლოება

ფაბრიკაში გასული წლის დამდეგს მოვედი; მაშინ სამკერვალო საქმის არაფერი მესმოდა. მუშაობა დავიწყე, დამხმარე მუშად. სამ თვეს ვეცნობოდი შარვლის საამქროს მუშაობას. იმავე 1932 წლის მაისში გადამიყვანეს დაზგის მუშად; ჩემ მოვალეობას შეადგენდა შარვლის სათავის გადაკერვა; როგორც ახალ მუშას, პირველ ხანებში მიჭიროდა მანქანაზე მუშაობა, ვერ ვასწრებდი ჩემი ოპერაციის შესრულებას და ამის გამო, გვერდით მომუშავეს რამდენიმე წუთით უხდებოდა ლოდინი. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ივნისიდან ენერგიულად მოვკიდე ხელი კვალიფიკაციის ამაღლებას; საამქროს ხელმძღვანელის, პარტიის წევრი ამხ. ლ. ლევქთაძის და საუკეთესო ხელოსნის, საწარმოო თათბირების ხელმძღვანელ ამხ. კვერნაძის დახმარებით ორ თვეში ზუსტად შევისწავლე ჩემი და ჩემი დაზგის ცუდი მუშაობის მიზეზები. პირველი დაბრკოლება, რომელიც გადავლახე, ეს იყო საკერავი მანქანის საიდუმლოების გაგება. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მანქანა ჩერდებოდა; მაქოს ხშირი შებრუნება, ხაზის აზურდვა, ძაფის წყვეტა წუნს მიზრდიდა. მანქანების მოვლას მექანიკოსები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ. ისინი ცვლის მუშაობის გათავების შემდეგ მანქანებს სათანადოდ არ ზეთავდნენ. ხშირად წყდებოდა ღვედი, ჩერდებოდა მოტორები, არ იყო ელენერგია და სხვ. მაგ., გასული წლის აპრილში, ერთ დღეს (რიცხვი არ მახსოვს) მე გამოვიანგარიშე და გამოვიდა, რომ საათნახევარს უქმად ვიდექი, იმიტომ, რომ მანქანა წინა დღით დაზეთილი არ აღმოჩნდა; ამ ნიადაგზე 24-ჯერ უმიზეზო შეჩერება ქონდა, აქედან 3-ჯერ ღვედის გაწყვეტის გამო, სწორედ ამიტომ ამ დღეს 41 ცალ შარვალს ვერ გადავუკერე სათავე.

ამ დეფექტებზე მე გავამახვილე საამქროს თათბირების ყურადღება და ამის შემდეგ მექანიკოსები მეტი პასუხისმგებლობით ეპყრობოდნენ მანქანებს. მას შემდეგ წელიწადნახევარი გავიდა. ახლა ჩემი დღიური დავალებაა 350 ცალი შარვლის სათავეს გადაკერვა; მეორე კვარტალში გეგმა შევასრულე 103 პროც. მესამე კვარტალში — 130 პროც. პირადად მე წუნი არ მქონია, საამქროში კი გვყავს წუნის მკეთებლები, მაგ., ნინა ჟორჟოლიანი და შალვა ნოსელიძე; უნდა ვთქვა, რომ მათ მუშაობის სტაჟი ჩემზე დიდი აქვთ, ამგვარად, მე ბევრ ამხანაგს გავუსწარი. ოქტომბერში ჟორჟოლიანმა, წარმოებას მისცა 48 ცალი წუნდებული შარვალი, შალვა ნოსელიძემ —41 ცალი. მე კი ამ თვეში წუნის არცერთი შემთხვევა არ მქონია, ხოლო საწარმოო გეგმა 174 პროც. შევასრულე.

გეგმით საამქროში უნდა ვმუშაობდეთ 65 მუშა, ფაქტიურად ოქტომბერში ვმუშაობდით 52; აქედან კვალიფიციური მკერავია 34, დანარჩენი ახლად მოსულებია; ოქტომბერში ჩვენმა საამქრომ გეგმა 70,4 პროც. შეასრულა.

52 კაციდან სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში ჩაბმული ვართ 32. ურთიერთშორის ინდივიდუალური ხელშეკრულება დადებული გვაქვს 27 მკერავს, ჩვენი საამქროს საუკეთესო დამკვრელები არიან: ნ. თავხელიძე, ფაჩუაშვილი, ლექვთაძე, ზ. კოლუაშვილი.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი საამქროს მუშათა 20—25 პროც. სოცშეჯიბრებაში ფორმალურად არის ჩაბმული. ზოგიერთი მუშა დაინტერესებული არ არის კვალიფიკაციის ამაღლებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით; ნ. გოგუაძე, შ. ფერაძე და სხვ.). ტექმინიმუმის წრეებს ზოგიერთი ამხანაგი გაურბის ჩვენი საამქროს ტექმინიმუმის წრის მეცადინეობას 29 ამხანაგიდან ესწრება მხოლოდ 13—14. არიან ისეთი ამხანაგებიც, რომელნიც პოლიტსკოლის მეცადინეობაზეც არ დადიან.

ბაბილინე ამაღლობელი.

აღმოვფხვრათ გაუპიროვნება დაზგების შეკეთებაში

1931 წლის ივლისიდან ვმუშაობ ხალათების № 2 საამქროში; ჩემი მოვალეობაა ხალათის გულისპირის დამაგრება; დღიურად ჩემს ხელში უნდა გაიაროს 670 ხალათმა; დავალებას გადაჭარბებით ვასრულებ.

ჩემი მანქანის ნომერია 14841; ჩემი მიზეზით ის ერთხელაც არ გამცდარა, მაგრამ თვით წარმოების ტექნიკური პერსონალის ცუდი ზედამხედველობით ხშირად ჩერდება. მექანიკოსები გარკვეულ მანქანებზე მიმაგრებული არ არიან, ამიტომ ძნელია იმის გაგება, თუ ვისი ბრალია, რომ მანქანა შეკეთების შემდეგ მალე ისევ ზიანდება.

მესამე კვარტალში, მიუხედავად იმისა, რომ ხუთი დღე ავად ვიყავი. გეგმა გადაჭარბებით შევასრულე,— 48,240 ცალის ნაცვლად 52,321 ცალ ხალათს დავამაგრე გულისპირი. შემეძლო მეტის გამომუშავებაც, მაგრამ მანქანების შეჩერებამ, ღვედის გაწყვეტისა და ენერგიის უქონლობის გამო, დამაკარგვია 71 სამუშაო კაცსაათი. ასეთსავე გაცდენებს ადგილი ჰქონდა ოქტომბერშიაც.

საამქროში გეგმით უნდა ითვლებოდეს 65 მუშა, ნამდვილად მუშაობს 46. აქედან ახლად მოსულთა რაოდენობა აღწევს 50 პროცენტს; ამის შედეგია, რომ ოქტომბერში ჩვენმა საამქრომ გეგმა შეასრულა 78 პროც. წუნდებული პროდუქციის რაოდენობა უდრიდა 0,2 პროც., იმ მიზნით, რომ გაგვეუმჯობესებია ჩვენი საამქროს პროდუქციის ხარისხი, პირადათ მე ვიკისრე ახლად მოსულ მუშათა გადამზადება. სექტემბერს ტექმინიმუმის წრეში ვასწავლიდი ჩვენი საამქროს 5 მუშას — ვ. მარადაშვილს, გ. ედიშერიძეს, ც. გამყრელიძეს, გალინა ბალანჩივაძეს; ისინი მალე დაწინაურდენ და საამქროს დამკვრელთა რიგებში ჩადგენ.

ოქტომბრამდე სამუშაო დღის დატვირთვას არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. საათები გადიოდა უსაქმო ლაპარაკში, ლაზღანდარობაში. სამუშაო დროის გამოყენების აღრიცხვა არ წარმოებდა, საამქროს დამკვრელებმა მწვავედ დავსვით ეს საკითხი ადმინისტრაციის და ფაბკომის წინაშე და შემოვიღეთ თვითკონტროლი, რამაც საშუალება მოგვცა შეგვემჭიდროებია სამუშაო დღე.

ბაბო ყუბანეიშვილი.

ქვანახშირის ამოღების

გაუმჯობესების ნიშნები

(ტყიბული, „კომუნისტი"-ს საკ. კორესპონდენტისაგან)

მესამე კვარტალი ტყიბულის მაღაროებმა გარღვევით დაამთავრეს. მეოთხე კვარტალში მათ ა.-კ. ფაბრიკა — ქარხნებს უნდა მისცენ 85.000 ტონა ქვანახშირი. ამ დავალების შესრულება მოითხოვს მთელი მუშაობის გარდაქმნას ისე, რომ მუშაობის სიმძიმის ცენტრი უშუალოდ გადატანილი იქნას ძირა რგოლებში საკანებში, ბრიგადებში, ჯგუფებში. უამისოდ შეუძლებელია გეგმის შესრულება. ჩამორჩენის მიზეზები სწორედ მუშაობის გარდაუქმნელობაში მდგომარეობს. დღემდე ცვლას, საკანს და ბრიგადას არ ქონდა ცოცხალი კონკრეტული ხელმძღვანელობა. ეს განსაკუთრებით საგრძნობი იყო ღამის ცვლებში, როდესაც მთელ უბანს მხოლოდ ერთი ან ორი ინჟენერი განაგებდა. ცხადია ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო ცვლაზე და ბრიგადაზე ცოცხალი ხელმძღვანელობის გაწევა.

ოქტომბერში ტყიბულის მაღაროებს უნდა მოეცათ 25.000 ტონა ქვანახშირი, ფაქტიურად ამ თვეში ამოღებულია 11.469 ტონა, ანუ გეგმის 45,9 პროცენტი. ყველაზე მეტად ჩამორჩენ თიხნარისა და ლენინის სახ. უბნები. თიხნარის უბანში უნდა ამოეღოთ 2.184 ტონა ქვანახშირი, ამოიღეს — 574 ტონა, გეგმის 26,3 პროცენტი. ლენინის უბანში კი — ნაცვლად 9.620 ტონისა, ამოღებულია 3.359 ტონა, გეგმის 34,9 პროცენტი. აღნიშნულ უბნებთან შედარებით წინ მიდის სტალინის სახ. უბანი. ოქტომბერში ამ უბანს უნდა მოეცა 13.208 ტონა, ფაქტიურად მოგვცა 7.536 ტონა, რაც გეგმის 57,1 პროცენტს შეადგენს.

მოუთმენელი მდგომარეობაა შრომის ნაყოფიერების დარგში. თუ გეგმით ერთ მუშას თვეში უნდა ამოეღო 20 ტონა, ფაქტიურად ამოქონდა 13, ანუ გეგმის 65 პროცენტი. უბნების მიხედვით შრომის ნაყოფიერების გეგმა ასე სრულდებოდა. ლენინის უბანში — 52,7 პროცენტით, სტალინის უბანში 72,9 პროცენტით და თიხნარში 50,9 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების დარგში ასეთ ჩამორჩენას, ერთის მხრივ იწვევდა კვალიფიციური მუშა - ხელის სიმცირე, მაგრამ მთავარი მიზეზი კვლავ შრომის ცუდი ორგანიზაციაა. ხშირად ადგილი აქვს გაცდენებს. ელსადგური სათანადოდ ვერ ემსახურება მაღაროებს. იგი ვერ აძლევს საკმაო ენერგიას გვირაბებს და ძალზე ხშირად შეჩერებულია მექანიკური გაგორების მუშაობა. სტალინის უბანში მოწყობილია მექანიკური გაგორება, რომლის საშუალებითაც ყველა მაღაროში მოჭრილი ნახშირი ამოაქვთ დახრილი გვირაბიდან. ძირითადად უბნის მუშაობა დამოკიდებულია ამ გვირაბზე მიუხედავად ამისა, მას ნაკლები ყურადღება ექცევა: აქ არ არიან შერჩეული კვალიფიციური მუშაკები, თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები და ყოველივე ამან კი 3 ნოემბერს გამოიწვია ის, რომ ბაგირზე ცუდად მობმული ვაგონი გაედვა გვირაბის თავზე გაკეთებულ საბრუნს და იგი დააზიანა. აგრეთვე გვირაბის თავიც, რომლის შეკეთებას ერთი საათი მოუნდენ. ამ ხნის განმავლობაში მთელი უბანი გაჩერებული იყო. ასეთი უყურადღებობის ფაქტები მრავალია. მაგ; ამავე უბანში სარჩევიდან სატვირთავამდე ნახშირის გადაზიდვა სწარმოებს ბაგირის საშუალებით. გზები ძალზე დაზიანებულია, რაც ხშირად იწვევს ვაგონების ჩავარდნას და დამტვრევას.

ოქტომბერში ტყიბულის მაღაროებს არ ყავდა საკმაო რაოდენობის მუშა - ხელი. თუ გეგმით უნდა ემუშავნა 1250 კაცს, მუშაობდა მხოლოდ 882, ანუ გეგმის 70,6 % ცუდად იყო დაყენებული მუშა-ხელის მოზიდვისა და დამაგრების საქმე. უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ მოხდა საგრძნობი გარდატეხა. კოლმეურნეობებიდან ხელშეკრულების დადების საფუძველზე, მაღაროში სამუშაოდ მოდიან ყოველდღიურად ძველი კვალიფიციური მაღაროელები. საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომმა და სხვა ორგანიზაციებმა მიიღეს ამ მხრივ გადამჭრელი ზომები. სოფლად მიამაგრეს პ. მგ. მუშაკები, რომლებმაც გაშალეს სათანადო მასობრივ - პოლიტიკური მუშაობა, რის საფუძველზე ნოემბრის პირველ რიცხვებში (4 ნოემბრამდე) მაღაროში სამუშაოდ მოვიდა დაახლოებით 170 კაცი. მუშა - ხელის შეგროვება გრძელდება.

უკანასკნელ ხანებში ქვანახშირის ამოღებას დაეტყო ზრდა; საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის რაიკომმა 30 ოქტომბერს მაღაროებში ჩაატარა ბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრენ დამკვრელი მუშები და ინჟენერ - ტექნიკოსები სხდომამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ქვანახშირის ამოღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მეოთხე კვარტალის დარჩენილი ოთხი თვე გამოცხადებულია დამკვრელ თვეებად. უბნებზე მიამაგრეს რაიკომის და მაღაროების პარტკომის პ.-მგ. მუშაკები. გამოიყო კომისია მიწის ქვეშ მომუშავეთავის განსაკუთრებული მომარაგებისათვის. კომისია შეუდგა მუშაობას. ლენინის უბანმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სტალინის უბანი. ბრიგადები ჩაებენ შეჯიბრებაში. მაღარკომი ამზადებს წითელსა და სამარცხვინო დროშებს, რომლებიც მიეცემათ — პირველი, გამარჯვებულ უბანს, ხოლო მეორე — ჩამორჩენილს. ის პ.მგ. მუშაკები, რომლებიც წინეთ მაღაროში მუშაობდენ და შემდეგ წამოყენებული იქნენ სხვადასხვა თანამდებობაზე, დამკვრელ თვეებში გაიგზავნენ მაღაროში სამუშაოდ. გარდა ამისა, მაღაროებში სამუშაოზედ ყოველდღიურად გადიან უბნის ხელმძღვანელი მუშაკები. უბნებში განტკიცდა შრომის დისციპლინა. აღმოფხვრილია არასაპატიო მიზეზით გაცდენები.

მიღებული ზომების შედეგია ამოღების ის ერთნაირი გაუმჯობესება, რომელსაც ადგილი აქვს უკანასკნელ ხანებში.

მაგრამ იგი მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მთავარი შემდეგში უნდა გაკეთდეს.

მ. მერკვილაძე

მოწინავე სასოფლო კოოპერატივები

ახალი ვითარება სოფლად ავალებს სამომხმარებლო კოოპერაციას მიაღწიოს გადამწყვეტ გარდატეხას თავის მუშაობაში. კოოპერაციამ უნდა იბრძოლოს ქალაქის და სოფლის მშრომელთა მომსახურების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის. საჭიროა უდიდესი სიფხიზლე და შეუპოვარი ბრძოლა ნამდვილი საბჭოთა ვაჭრობისათვის, აღმოფხვრა ინერტიულობის, თვითდინების და დანაშაულებრივი უყაირათობისა, რასაც ხშირად აქვს ადგილი კოოპერაციაში განსაკუთრებით სოფლად.

ამიერ - კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა ქსელი 1932 წელს წამგებიანი იყო. წლის განმავლობაში მისი ზარალი 30 მილიონ მანეთს აღემატებოდა. 1933 წელს, განსაკუთრებით მესამე კვარტალს ახასიათებს საგრძნობი გარდატეხა სასოფლო კოოპერაციის მუშაობაში. მთელი რიგი სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებანი ნამდვილად ბოლშევიკურად იბრძვიან საქონლის ბრუნვის, დამზადების, რესურსების მობილიზაციის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ ბრძოლაში დიდი როლი ითამაშა „ზაკსოიუზის" მიერ ჩატარებულმა **კონკურსმა საუკეთესო სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებაზე**; ამ კონკურსმა პირველ რიგში წამოაყენა ათეული სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებანი, რომლებიც იძლევიან მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს. კონკურსმა გამოამჟღავნა მთელი რიგი მოწინავე სასოფლო სამომხ. საზოგადოებანი, რომლებმაც მოიპოვეს პირველობა კონკურსში.

ასეთია მაგალითად ოფურჩხეთის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოება (ქუთაისის რაიონი), რომელიც მესამე კვარტალში მოექცა ყველაზე მოწინავე სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა რიგებში; მე-3 კვარტალის გეგმა, რომელიც 39.000 მანეთს უდრიდა, მან შეასრულა 69.665 მანეთის რაოდენობით ანუ 179 პროც. ოფურჩხეთის კოოპერატივმა ცენტრალიზებული დამზადების გეგმა — 252 პროცენტით შეასრულა; მე-3 კვარტალში გეგმა ითვალისწინებდა 1.800 მან. პაის შეგროვებას, ფაქტიურად კი შეგროვილია 3.765 მანეთი (გეგმის 209 პროცენტი). მიმოქცევის ხარჯები საერთო ბრუნვასთან შეფარდებით დაყვანილია 9,3 პროცენტამდე. ტვირთის გადაზიდვის შესახებ კოოპერატივს კოლმეურნეობასთან დადებული აქვს ხელშეკრულება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სატრანსპორტო ხარჯებს.

მეოთხე კვარტალის გეგმა კოოპერატივს შედგენილი ქონდა 23 სექტემბრისათვის, ხოლო 24 სექტემბერს იგი უკვე დაყვანილი იყო სავაჭრო წერტებამდე. მე-3 კვარტალში არ ყოფილა გაფლანგვის და მტაცებლობის შემთხვევები.

იმავე ქუთაისის რაიონში პატრიკეთის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებამ მიაღწია გეგმიანობას თავის მუშაობაში; უკვე 25 სექტემბრისათვის ყველა სავაჭროს ჰქონდა მეოთხე კვარტალის გეგმა. ამ სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებამ მიმოქცევის ხარჯები 8 პროცენტამდე შეამცირა. მესამე კვარტალში საქონლის ბრუნვის გეგმა შედგენილი იყო 61.800 მანეთის რაოდენობით, ხოლო შესრულებულია 123.697 მანეთის რაოდენობით (200 პროც.); ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული დამზადების გეგმები გადაჭარბებით შესრულდა (200 პროც.); პაის დაგროვების გეგმა ითვალისწინებდა 1.100 მანეთის შეგროვებას, ფაქტიურათ კი შეგროვილია 2.250 მანეთი. (გეგმის 205 პროც.).

მუხიანის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებასაც (ქუთაისის რაიონი) არ სურს ჩამორჩეს მეზობელ სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებებს და ცდილობს პირველი ადგილი დაიკავოს თავის რაიონში; საქონლის ბრუნვის გეგმა მან 232 პროცენტით შეასრულა, ცენტრალიზებული დამზადების — 107 პროცენტით, დეცენტრალიზებული დამზადების— 205 პროც., პაის დაგროვების — 163 პროც., მოსახლეობის შეკავშირების გეგმა კი — 175 პროც.

ციხისჯვრის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებაც (ბორჯომის რაიონი) იბრძვის მიმოქცევის ხარჯების შემცირებისა და გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მესამე კვარტალში მიმოქცევის ხარჯები 0,9 პროცენტით შემცირდა, სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებამ კოლმეურნეობასთან დასდო ხელშეკრულება ტვირთის გადაზიდვის შესახებ და მიაღწია სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას 40,4 პროცენტით. ციხისჯვარის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების საქონლის ბრუნვის მესამე კვარტალის გეგმა 40.000 მან. უდრიდა, ხოლო შესრულებულია 53.850 მანეთის რაოდენობით, (134 პროცენტით). ცენტრალიზებული დამზადების გეგმა 120,9 პროცენტით შესრულდა, ხოლო დეცენტრალიზებული დამზადების —122,2 პროც. პაის დაგროვების გეგმა შესრულებულია 131 პროცენტით.

ქარცხელის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებამ (ზუგდიდის რაიონი) დანერგა წინასწარი დაკვეთების სისტემა, სატრანსპორტო ხარჯები კვარტალის განმავლობაში 990 მანეთით შეამცირა და დასდო ხელშეკრულება კოლმეურნეობასთან საქონლის გადაზიდვის შესახებ. ამ სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების საქონლის ბრუნვის გეგმა მესამე კვარტალისათვის უდრიდა 50 ათას მან., რაც შესრულებულია 167 პროც. საპაიო შესატანის გეგმით გათვალისწინებული იყო 1300 მანეთის შეგროვება, ხოლო შეგროვილ იქნა 1.736 მან. (გეგმის 134 პროც.).

ყველა აქ აღნიშნული სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოება გადაიქცა მოწინავედ არა შემთხვევით, არამედ გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის შედეგად. საქმეს აკეთებენ ადამიანები—კადრები. მოწინავე სასოფლო სამომხმ. საზოგადოებათა კადრები მართლაც, რომ სანიმუშოა. ამ სასოფ. სამომხმ. საზოგადოებათაგან უნდა ისწავლონ დანარჩენებმა. მოწინავეთა გამოცდილება ფართოდ უნდა გავრცელდეს დანარჩენ სასოფლო სამომხმ. საზოგადოებათა შორისაც. საჭიროა მოეწყოს მოწინავე სასოფ. სამომხმ. საზოგადოებათა კოოპერატიული მუშაკების შეკრებები გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით.

მეოთხე კვარტალის ბოლოს „ზაკსოიუზი" იწვევს სამივე რესპუბლიკის მოწინავე სასოფლო სამომხმ. საზოგადოებათა შეკრებას. თვითეულმა სასოფლო სამომხმ. საზოგადოებამ უნდა გააჩაღოს ბრძოლა ამ შეკრებაზე დასწრების უფლების მოსაპოვებლად.

დ. რ—ძე.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის

„კომუნისტი"-ს მკითხველები უთუოდ იცნობენ საქართველოს ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს ამ ორი თვის წინად გამოქვეყნებულ დეკრეტს, რომელიც სალიტერატურო ენის ნორმების დადგენას შეეხება. რით არის გამოწვეული ის? ჩვენში ყოველი ლიტერატორი, ჟურნალისტი, მეცნიერი, პედაგოგი, საბჭოთა აპარატის მუშაკი და, საერთოდ, წერა-კითხვის მრავალი მცოდნე დიდ დაბრკოლებებს გრძნობს იმის გამო, რომ დღემდე ქართულ სალიტერატურო ენას ბევრ შემთხვევაში არა აქვს სავალდებულო ნორმები. რუსულს და თითქმის ყველა ევროპულ ენა, როგორც ვიცით, ამ მხრივ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია.

ჩვენს ზეპირ და წერილობით სალიტერატურო ენაში მეტად დიდ მრავალფეროვნებას აქვს ადგილი. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში ძნელია ისეთი ორი მწერლის პოვნა, რომელიც ერთსა და იმავე სალიტერატურო ნორმებს იცავდეს. თუ გინდ მეტი, იშვიათია ისეთი ავტორიც კი, რომელიც თავის ნაწერებში ყოველთვის ერთ სალიტერატურო ნორმებს მისდევდეს.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს. სალიტერატურო ენა ჩვენში უნდა დადგეს იმ დონეზე, როგორიც შეეფერება სოციალისტურ საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ ვითარებას. და აი მთავრობამ ეს საპასუხისმგებლო საქმე დააკისრა „ელხი"-ს (სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ენისა, ლიტერატურისა და ხელოვნების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს), რომელიც უკვე აწარმოებს ენერგიულ მუშაობას. მოწვეულია ენის საუკეთესო მცოდნეები და ლიტერატორები. საკითხების დამუშავებაში მონაწილეობას იღებენ: აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, . ჩიქობავა, ი. აბულაძე, ს. ყაუხჩიშვილი, კ. კეკელიძე, ვ. თოფურია, ს. ჯანაშია, გ. წერეთელი, ს. იორდანიშვილი, სტ. ჩხენკელი, პ. ინგოროყვა, ვ. კოტეტიშვილი, მ. ზანდუკელი და სხვანი. უკვე შედგენილია სამუშაო გეგმა და დაწესებული მისი შესრულების კალენდარული ვადებიც. მომავალ წლის პირველ იანვრისათვის უნდა დასრულებულ იქნას მთელი მუშაობა.

ინსტიტუტს ამ მხრივ ბევრზე ბევრი სამუშაო აქვს. ამისათვის საკმარისია თვალი გადავავლოთ გეგმით გათვალისწინებულ მხოლოდ ზოგიერთ საკითხს. ქართული სალიტერატურო ენის დამმუშავებელ-დამდგენელი პირველ რიგში გვერდს ვერ აუვლის ნორმათა არევის ისეთ მომენტებს, როგორიცაა თუნდაც იმ სიტყვათა ბრუნვა, რომლებსაც დართული აქვთ ნაწილაკები—ვე,—და,—მე და—ღაც (ა).

სალიტერატურო ენაში ჩვენ გვხვდება ამ სიტყვების სულ სხვადასხვაგვარი დაბოლოება: რასმე—რამეს—რასმეს, ორთავე—ორივე—ორივენი, ვინმეს—ვისმე—ვისმეს, ვიღაცის ვიღაცას, რითიმე—რამეთი—რამით.

კიდევ მეტი არევდარევაა გამეფებული უცხო და ქართული სიტყვების სუფიქსებით წარმოებაში. ხშირად წერენ: ნორმალურს და ნორმალს-აც, დიალექტიკურს და დიალექტიურს-აც, რევოლიუციონურს, რევოლიუციურს და რევოლუციურს-აც, კლასიურს და კლასობრივს-აც.

ცნობილია აგრეთვე, რომ დიდ დავას იწვევს სხვადასხვა სიტყვათა ბრუნვასთან დაკავშირებული ორთოგრაფიული საკითხები. აქაც განსაკუთრებულ სიჭრელეს აქვს ადგილი. ავიღოთ, მაგალითად, ნათესაობითი ბრუნვის ასეთი ვარიაციები: ხმალის—ხმლის, ბალის,—ბლის, წყალის—წყლის, ჭონქაძეს „სურამის ციხე", ჭონქაძის „სურამის ციხე", წერეთელის ლექსი—წერეთლის ლექსი, ასეთივე სურათი გვაქვს მოქმედებით ბრუნვაშიაც: ბალით—ბლით, ჭონქაძეთი—ჭონქაძით, ბელურათი—ბელურით, ყურძენით—ყურძნით.

განსაკუთრებით გაცხოველებულ კამათს იწვევს სიტყვათა დაბოლოება დ-სა და თ-ზე: სოფლად—სოფლათ, სახლად—სახლათ, ერთად—ერთათ, ზემოდ—ზემოთ, გარედ—გარეთ და ასე შემდეგ. ამის მიხედვით დ, ზოგჯერ ჩნდება ზმნებშიაც: დავარტყად ნაცვლად დავარტყათ, გავაკეთოდ—ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ და ვწეროთ გავაკეთოთ.

ამას გარდა, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ქართულ სალიტერატურო ენაში უცხო სიტყვები.

ცნობილია, რომ წერენ: თერმინს და ტერმინს-აც, ხინთეზს და სინტეზს-აც, ჰონორარს და გონორარს-აც. ჰეგემონიას და გეგემონიას-აც, ჰიტლერს და გიტლერს-აც, ექვივალენტს და ეკვივალენტს-აც, ქვორუმს და კვორუმს-აც ფსიქოლოგიას, პსიხოლოგიას და ფსიხოლოგიას-აც და ასე დაუსრულებლივ. არ არის დაცული ერთგვარობა რუსულ ю და я ბგერების გადმოცემაშიც: ევოლიუცია — ევოლუცია, ილიუზია—ილუზია, ვენტილიაცია—ვენტილაცია, ტრანსლიაცია — ტრანსლაცია, ასიმილიაცია—ასიმილაცია.

იგივე უნდა ითქვას გერმანულ ei ბგერათა გადმოცემის შესახებაც: ერთნი წერენ ეინშტეინს, მეორენიკი—აინშტაინს, მესამენი—აინშტეინს, წერენ ლეისტს და ლაისტს-აც, ლეიპციგს და ლაიპციგს-აც. არანაკლები სხვადასხვაობაა რუსულ ё ბგერის და უმახვილო o ბგერის გადმოცემაში, როცა o ისე გამოითქმება, როგორც a.

მაგალითად, წერენ ლეჟნიოვს და ლეჟნევს, პოტიომკინს და პოტემკინს ან პატიომკინს, ვარაშილოვს და ვოროშილოვს, ბორის გოდუნოვს და ბარის გადუნოვს-აც, ოდესას და ადესას-აც, ვოლოგდას და ვალოგდა-საც.

არ არის გარკვეული ბევრისათვის ისიც, თუ როგორ უნდა იწერებოდეს სიტყვები, რომელნიც სხვა ენებში ა-ზე ბოლოვდება. მაგალითად, მოლეკულა თუ მოლეკული, პერსპექტივა თუ პერსპექტივი, დოზა თუ დოზი, გლუკოზა თუ გლუკოზი, მეტამორფოზა თუ მეტამორფოზი.

დიდ სხვადასხვაობას აქვს ადგილი აგრეთვე ბერძნულ და ლათინურ ენებიდან ნასესხებ საკუთარ სახელების გამოთქმასა და წერაში. წერენ; ათანასე და ათანასი, არისტოტელე და არისტოტელი, არქიმედე და არხიმედი, იულიან და ივლიანე.

ასეთ სახელების ბრუნვაშიც აგრეთვე დიდი მრავალფეროვანება გვხვდება: ანტონმა და ანტონიმ, მაკარმა და მაკარიმ, მაკართან და მაკარისთან—და ასე შემდეგ.

მეტად დიდ არევ-დარევას აქვს ადგილი ზმნების დაბოლოებაშიც. დავა ამ საკითხის ირგვლივ ძალიან ხშირი მოვლენაა. ამის მიუხედავად, საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი და ყოველი ავტორი ისე აბოლოებს ზმნას, როგორც ეს მას მოესურვება. მაგალითად, წერენ: მოდიოდნენ—მოდიოდენ, იყვნენ—იყვენ, იზამენ—იზმენ—იქმონენ.

სრულ არევდარევას აქვს ადგილი ზმნათა პრეფიქსების გამოყენებაში. ინდივიდუალურ „შემოქმედებას" აქაც ფართო გასაქანი ეძლევა. წერენ და ამბობენ: სტანჯავ—ტანჯავ, ჰკივი—კივი, ჰკურნავს, კურნავს, გადაჰჭრა—გადასჭრა, ჰქონია—ქონია, სძინავს—ძინავს, ამასთანავე გვხვდება ზმნების ასეთი დაბოლოებანი: უნახავს—უნახნია—უნახია, უთქვამს—უთქვია, ეჭამა—ეჭამნა, მოეკვეთა—მოეკვეთნა, ჰქონოდა — ქონიყო, ჰქონიყო — ჰქონებოდა. ან კიდევ ჰფრინავს—ფრინავს—ჰფრენს, ჰბერტყავს—ჰბერტყს, შეუხვამს—შეუხვავს, გლეჯავს—გლეჯს და ამის მსგავსნი.

არ არის თანხმობა თანდებულთა და წინდებულთა გამოყენებაშიც. წერენ და ამბობენ: აქედან მოსკოვამდის, აქიდან მოსკოვამდინ, ან მოსკოვამდი, ან მოსკოვამდე, ან მოსკოვამდისინ; ხმარობენ მასწავლებლიდან, ნაცვლად იმისა, რომ თქვან და წერონ მასწავლებლისაგან. მაგალითად, ასეთ შემთხვევებში: წერილი მივიღე მასწავლებლიდან, უნდა იყოს, წერილი მივიღე მასწავლებლისაგან. განახორციელა—გაახორციელა—გაანხორციელა, განათავისუფლა, გაანთავისუფლა — გაათავისუფლა, ვადგენ—ვარდგენ და ბევრი სხვ.

დავას იწვევს აგრეთვე აფიქსების მართლწერა და გამოთქმა ნაზმნარ სიტყვებში: ნამოსახლები — ნამოსახლევი, ნაფიქრები—ნაფიქრევი, ნაამაგები თუ ნაამაგევი, ან კიდევ ასეთი დაბოლოვებანი: მიხარია—მიხარიან—წყურია—წყურიან—სწყურია, გამიხარდა—გამეხარდა.

ბევრისათვის ჯერ კიდევ გარკვეული არაა, როგორ უნდა იხმარებოდეს ბოლოსართი მრავლობითი რიცხვის ზმნებში: გაქვთ—გაქვსთ, აქვთ—აქვსთ, მოგცემთ—მოგცემსთ, გწერთ—გწერსთ.

დიდ თავისებურებას აქვს ადგილი აგრეთვე შენაერთი სიტყვების, ეგრედწოდებულ კომპოზიტების წერის დროს: და-ძმა, დაძმა, და ძმა; ხარ-კამეჩი, ხარკამეჩი, ხარ კამეჩი; ასოთ-ამწყობი, ასოთამწყობი, წყალ-ვარდნილი, წყალვარდნილი; თმახუჭუჭი, თმა ხუჭუჭი, თმახუჭუჭი; არაუმეტეს, არაუმეტეს, არა უმეტეს; სხვადასხვა, სხვა-და-სხვა, სხვა და სხვა; კვალდაკვალ, კვალ-და-კვალ, კვალ და კვალ და მრავალი ამის მსგავსი.

არა აქვს ადგილი ერთსულოვნებას შემდეგი სიტყვების ხმარებაშიც: ამას გარდა და ამის გარდა, კოლექტივის გარეთ და კოლექტივს გარეთ, სახლის ქვეშ და სახლ ქვეშ, მთას გადაღმა და მთის გადაღმა.

განსაკუთრებით დიდ სხვადასხვაობას აქვს ადგილი მრავლობით რიცხვში სახელთა შეთანხმებისას: აქ რამდენი დამწერია, იმდენ თავისებურებასთან გვაქვს საქმე. სახლები აშენდა თუ სახლები აშენდენ, ნაწილები შედგება თუ ნაწილები შედგებიან, მედგარი მებრძოლნი, თუ მედგარნი მებრძოლნი, მოქალაქენი ვართ თუ მოქალაქე ვართ, დაინტერესებულნი ვართ თუ დაინტერესებული ვართ, მთანი მაღალნი ტყიანი თუ მთანი მაღალი ტყიანი, მრავალი მერცხლები თუ მრავალი მერცხალი, ზოგი ბიჭები თუ ზოგი ბიჭი, ბევრი კაცი თუ ბევრი კაცები, ყველა დამსწრე თუ ყველა დამსწრენი.

მრავალი ამის მსგავსი შემთხვევის მოყვანა შეიძლებოდა კიდევ, მაგრამ, ვფიქრობთ, ნათქვამი სრულიად საკმარისია იმის დასადასტურებლად, თუ რამდენად რთული და მნიშვნელოვანი საკითხებია გასარკვევი, რომ სალიტერატურო ენის ნორმები საბოლოოდ დამუშავდეს.

რით უნდა ავხსნათ ქართულ სალიტერატურო ენაში ფორმათა ასეთი არევა? უდავოა, ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველო დაახლოებით 120 წლის განმავლობაში კოლონიალურ ქვეყანას წარმოადგენდა. ქართული ენა, ისე როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვა მცირე ერთა ენა, დევნილი იყო. დაბალი საფეხურის სკოლებში მას არ ხმარობდენ სხვა ენის შესასწავლ იარაღადაც კი. ამას მოწმობს თუნდა ცნობილი შავრაზმელი პედაგოგის ლევიცკის მიერ საქართველოს სკოლებში შემოღებული რუსული ენის სწავლების მუნჯური მეთოდი. საშუალო ტიპის სკოლებში კი მცირე ეროვნებათა ენა პირდაპირ დაცინვის საგანს წარმოადგენდა. გიმნაზიებსა და ინსტიტუტებში ქართული ენის მასწავლებლებად უმეტეს შემთხვევაში ნიშნავდენ ყოვლად უნიჭო და უვიც პირებს. უმაღლესი სკოლის კარები კი მცირე ეროვნებათა ენებისათვის მიფას რუსეთში მაგარი ურდულებით იყო გადარაზული.

ცნობილია აგრეთვე, რომ მცირე ერთა ენები სრულიად განდევნილი იყო სახელმწიფო დაწესებულებებიდან. მამასახლისის კანცელარიიდან დაწყებული თვით მეფის სასახლემდე მხოლოდ ერთი ენა ბატონობდა.

მცირე ერთა პრესას, წიგნის გამომცემლობას და თეატრს ყოველნაირად ავიწროებდენ.

აშკარაა, ასეთ პირობებში ენის კულტურაზე ძზრუნველობისათვის არავის ეცალა. ამან დიდად ავნო ქართულ სალიტერატურო ენას. მისი განვითარება წარმოებდა თავისთავად და ტკივილებით, მაგრამ ცხოვრება მაინც თავისას შვრებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებიდან, როცა რუსეთის კაპიტალმა ჩვენში უკვე საკმაოდ ღრმად გაიდგა ფესვები, საქართველოს კულტურულ ცხოვრებაშიც დიდი ცვლილებები იწყება. ფეოდალური არისტოკრატიის კლასობრივი გადაშენება მიდის ხშირად ჩინოვნიკური და ეგრედწოდებული „თავისუფალი" პროფესიის ინტელიგენციის ხაზით. საქართველოში გაჩნდა რუსეთში განსწავლული და რუსეთის განმანთავისუფლებელ იდეებს „ნაზიარები" მოლიბერალო ბრძოლა თაობა, იწყება გაჩაღებული ბრძოლა დროგადასულ ბატონყმურ საზოგადოებრივ - ეკონომიურ ფორმაციასა და ახალგაზრდა კლასს—ბურჟუაზიას შორის. ეს ბრძოლა მკაფიო გამოსახულებას პოულობს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და, მაშასადამე, ენის განვითარების საქმეშიც. 1850 წელს იდგმება გიორგი ერისთავის ცნობილი კომედია „გაყრა". ეს ნაწარმოები საგულისხმო მოვლენას წარმოადგენს ქართული ენის განვითარების მხრივაც. იმ დროის ცნობილი მოღვაწე პლატონ იოსელიანი კომედია „გაყრა"-ს ენის შესახებ შემდეგს წერდა:

„მიხედვით სხუათა ხალხთა ევროპისა და აზიისა, ვიტყვი გაბედვით. მეთვრამეტე საუკუნემდე, ქართუელნიცნი მდიდარი იყუნენ მწერლობითა, მაგრამ მწერლობა ძუელთა, გარდა რუსთაველისა და მცირედთა სხუათა არა იყო ჩვეულებითის საუბრისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირუელისა ქართულსა ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითისძემან ერისთოვმან, დაბადა ენა ქართული ახლისა გუარისა მწერლობისათვის".

„გაყრას" მოყვა ცნობილი დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე", სადაც ენის დემოკრატიზაცია შედარებით უფრო გაბედულად იყო მოცემული. ქართველი რეაქციონერები გააფთრებით შეხვდენ ენის გაუმჯობესების ცდის პიონერებს.

1857 წელს ჟურნალ „ცისკარი"-ს რედაქცია გოდებს და მოსთქვამს ენის წარყვნის, მისი გამდაბიურების გამო. ამ ჟურნალის თანამშრომელი ალ. ორბელიანი ვერ შერიგებია „გლეხური ელემენტის" შემოტანას სალიტერატურო მეტყველებაში. ის წერს: „მართალია გლეხკაცობის ლაპარაკი მარტივი ენა არის და ადვილი გასაგონი, მაგრამ მაღალი საგანი რამ ვერ გამოვა რიგიანად", ეს შეურიგებელი კლასობრივი სიძულვილი გლეხური ენისადმი, რომელზედაც „მაღალი საგანი რამ ვერ გამოვა რიგიანად", რასაკვირველია, გავრცელებული იყო მაშინდელ გაბატონებულ წრეების შეგნებაში. ალ. ორბელიანი ამ შემთხვევაში მარტო საკუთარ აზრს არ გამოთქვამდა. მის შეხედულებას იზიარებდა დიმ. ყიფიანიც, რომელიც იმავე „ცისკარში" წერდა: „გლეხური საუბარი ვერ შესძლებს მაღალთა საგანთა გამოხატვისა შუამავლობასა"-ო.

ეს მდგომარეობა რამოდენიმედ იცვლება სამოციან წლებიდან, როცა გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი „დროება" სერგი მესხის რედაქტორობით. „დროებას" გარშემო თავს იყრის მაშინდელი ახალგაზრდობა: აკ. წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვანი, გამოსული დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა წრიდან. ქართულ სალიტერატურო ენაში პირველად მძლავრი ტალღით იწყებს შემოტევას დასავლეთ საქართველოს დიალექტები. ენის „დემოკრატიზაცია" უფრო სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ძალთა შეფარდება სალიტერატურო ფრონტზე თვალდათვალ იცვლება ლიბერალურ ინტელიგენციის სასარგებლოდ. კლასობრივ ბრძოლამ ენის დარგში მეტად მძაფრი ხასიათი მიიღო. ცნობილი რეტროგრადი გრიგოლ ორბელიანი გესლით სავსე ლექსს უძღვნის ქართული ენის „წამბილწველთ". „პასუხი უღირსთა შვილებთა", ასეთია გრ. ორბელიანის ლექსის სათაური. ორბელიანი წერს:

„გაჩნდენ მწერლები, ჟურნალისტები,
ვაი საბრალო! ვაი, ჩვენს ენას!..
მათ უსწავლელთა, ცრუ რუსთაველთა,
სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი.
ენა მაღალი, მის ძალი, მადლი
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში...
ცრუ ლიბერალნი, პატრიოტები:
აკაკიები — ბაჟაკიები 1)
ჩიონელები 2), გოგიტელები 3)...
მესხი 4), მეველე 5), მელიქ-აღები 6).

ოთხმოციან წლებიდან ქართული სალიტერატურო ენის განვითარება უფრო მკვიდრ ნიადაგზე დადგა. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდენ ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი. ნაბეჭდი ლიტერატურა და ზეპირსიტყვაობა თანდათან იწმინდება არისტოკრატიზმის ლიტონ ფორმებისაგან. კაზმული მწერლობა და პრესა უფრო ენერგიულად აღწევს თავს მკვდარ ხუცურ ენას.

მალე პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი კანონიერი ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლას იწყებს ახალგაზრდა პროლეტარიატი. საზოგადოებრივ პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სურათი შესაფერისად იცვლება. რევოლუციური არალეგალური პროპაგანდა, მასების შეკავშირებისათვის ბრძოლა ახალ ხორცს ასხამდა სალიტერატურო ენას, იგი იწმინდება და მარტივდება, ამასთანავე მდიდრდება ახალი ლექსიკით და ფორმებით. და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მწერალ-პუბლიცისტის ეგნატე ნინოშვილს.

მსოფლიო პროლეტარიატის ღირსეული ბელადი, სოციალისტური რევოლუციის გენიალური მესაჭე ამხ. **სტალინი**, რომელმაც თავისი ახალგაზრდობის წლები ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს რევოლუციონურ მოძრაობაში გაატარა, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ლენინურ ბოლშევიკურ პარტიას საქართველოში, განსაკუთრებულ ყურადღებით ეპყრობა სალიტერატურო ენის სიწმინდეს, ის მენშევიკებს ებრძვის ენის ფალსიფიკაციისა და გაყალბების გამოც. მის ნაშრომში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე", რომელიც 1905 წლის აგვისტოში არალეგალურად დაიბეჭდა, ჩვენ ვპოულობთ, მაგალითად, ასეთ ადგილს:

„თავისი აზრის გასათეთრებლად" „უმრავლესობის და უმცირესობის" ავტორს მარქსის (?) სიტყვები მოჰყავს: „რომელიმე კლასის თეორეტიკი თეორიულად მიდის იმ დასკვნამდის, რომლისაკენაც თვითონ კლასი უკვე მივიდა პრაქტიკულად"-ო.

ორში ერთი, ან ქართული არ იცის ავტორმა, ან და მბეჭდავის შეცდომაა: არც ერთი ქართველი არ იტყვის — რომლისკენაც უკვე მივიდაო". უნდა იყვეს: ან რომელთანაც უკვე მივიდა". ან და „რომლისკენაც უკვე წავიდა". თუ ავტორს უკანასკნელი გამოთქმა აქვს სახეში (რომლისკენაც უკვე წავიდა), უნდა შევამჩნიოთ, რომ მას სწორეთ არ გადმოუღია მარქსის სიტყვები. მარქსი ასეთს არაფერს ამბობს".

არა ნაკლებ საყურადღებოა თვითონ ამხ. სტალინის სტილი და ენა, რომელიც აზრის უაღრესად დაზუსტებით და პოპულარულად გადმოცემით სრულიად განირჩევა მაშინდელ ჯერ კიდევ გაუმართავ ქართულ სალიტერატურო ენაში. რამდენიმე მაგალითი იმავე ნაშრომიდან.

„პირველი რამაა ჩვენი „უმცირესობა". მე თბილისის „უმცირესობაზე" გელაპარაკებით. გაუგია, რომ პარტიაში უთანხმოებააო და აჩირებულა: გინდა თუ არა, ყველგან და ყოველთვის უთანხმოებაზე უნდა ვილაპარაკო, გინდა თუ არა მარჯვნივ და მარცხნივ „უმრავლესობას" უნდა ვაგინოო! და იგინება ისიც წარამარა, იტყვი ქადაგათ დაცემულაო".

რა „დააშავა" „უმრავლესობამ", რატომ „გაკუჭებულა" ჩვენი „უმცირესობა"? გადავხედოთ წარსულს"...

მენშევიკებს ანუ, როგორც მაშინ ეძახდენ, „მეუმცირესეთ", თავი მოჰქონდათ იმით, რომ ბევრ ქალაქში მუშები მათ მხარეზე იყო, მაშასადამე, ჩვენ ვყოფილვართ ნამდვილ პროლეტარულ პოლიტიკის გამტარებელიო, აცხადებდენ ისინი. ამხ. სტალინი მათ უპასუხებს:

„დიახ, მართლა „უმცირესობის" მხარეზე არიან მუშები ზოგიერთ ქალაქებში, მარა ეს არაფერსაც არ ამტკიცებს. რევიზიონისტების (ოპორტუნისტებია გერმანიაში) მხარეზედაც არიან მუშები ზოგიერთ ქალაქებში, მარა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მათი პოზიცია პროლეტარულია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ოპორტუნისტები არ არიან. ერთხელ ყვავმაც იპოვა ვარდი, მარა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყვავი ბულბულია. ტყუილათ კი არაა ნათქვამი:

„რა ყვავი ვარდსა იპოვის,
თავი ბულბული ჰგონია"..

ამხ. სტალინის ნაშრომი „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე" უდიდეს მნიშვნელობის ბოლშევიკურ დოკუმენტს წარმოადგენს. 26 წლის სტალინის ეს ბროშურა თავის დროზე ასეც იქნა შეფასებული: მას „ბოლშევიზმის კრედოს" უწოდებდენ. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ამ ნაშრომის მნიშვნელობა, ის უთუოდ ღირსშესანიშნავი მოვლენაა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების, მისი მასებისათვის წერისა და მეტყველების იარაღად გადაქცევის თვალსაზრისითაც.

მას შემდეგ სამ ათეულ წელმა განვლო. საქართველოს ცხოვრებაში ამ შედარებით მოკლე დროის მანძილზე უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური გარდატეხა მოხდა. მალე უკვე 13 წელიწადი შესრულდება, რაც ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა. საქართველოს სამეურნეო, კულტურულ და ფსიქოლოგიურ ვითარებაში იმდენად ღრმა ცვლილებებს აქვს ადგილი, საქართველო მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად იმდენად სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ მატერიალური და კულტურული აყვავების გზით, რომ ყოველივე ამას არ შეეძლო თავისი განსაკუთრებული კვალი არ გაევლო ზეპირსიტყვაობაზე და თვით სალიტერატურო ენაზე.

ქართული სალიტერატურო ენის ხორმების, ორთოგრაფიის და ლექსიკოლოგიის საკითხი დღეს უაღრესად მომწიფებულია. მისი სხვა დროისათვის გადადება შეუძლებელი ხდება. ქართულ ენას პროლეტარიატის ხელისუფლების სახით პირველად გაუჩნდა ნამდვილი პირისუფალი. ქართული სალიტერატურო ენის აკადემიური დამუშავება უკვე წარმოებს პრაქტიკულად. ეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის კულტურული საქმე მთავრობამ დაავალა, როგორც ვთქვით, სახელმწიფო უნივერსიტეტის ენისა, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტს. ეს კი შესაფერ პასუხისმგებლობას აკისრებს „ელხის" მეცნიერ მუშაკთა კოლექტივს.

როგორი უნდა იყოს მუშაობის პრინციპი ამ შემთხვევაში? პირველ ყოვლისა ამოცანის გადაჭრის დროს უნდა აღიკვეთოს შიშველი პრაქტიციზმი, ე. ი. ენის ნორმათა შემუშავება ყველა შემთხვევაში არ უნდა იყოს დაფუძნებული ფაქტიურად დაკანონებულ, მაგრამ მეცნიერულად გაუმართლებელ ნორმებზე. ამავე დროს უდიდესი ბოროტება იქნებოდა სალიტერატურო ენის ნორმათა გამომუშავებისათვის საფუძვლად დაგვედვა მხოლოდ მეცნიერული კრიტერიუმი.

ქართული ენის კულტურის ამაღლების საკითხი შემთხვევით არ წამოჭრილა ჩვენს წინაშე. ეს არის ლენინისა და სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკული გამოხატულება. ეს ფაქტი ზედმეტად მოწმობს იმას, რომ არსად და არასოდეს არ შეიძლება გადაიჭრას ძველი მემკვიდრეობით ნაანდერძევი ურთულესი ეროვნული პრობლემა, თუ არა საბჭოთა ეკონომიურ და პოლიტიკურ სისტემის პირობებში, არსად და არასოდეს არ ახსოვს კაცობრიობას მცირე ეროვნებათა შემოქმედებითი პოტენციის ისეთი ტიტანური გაშლა, როგორც ამას ადგილი აქვს ხალხთა ძმობის უდიდეს ოჯახში, რომლის სახელიც არის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი.

აკ. ჭყონია

---

1) აკ. წერეთელი, 2) ნიკო ნიკოლაძე, 3) გ. წერეთელი, 4) ს. მესხი, 5) დავ. მიქელაძე, 6) სოსიკო მელიქიშვილი.

ეროვნული

ექიმების სპეკულაცია უნდა აღიკვეთოს

(სკოლის გამგის წერილი)

სოფ. ველისციხის (გურჯაანის რაიონი) ამბულატორიის პრაქტიკაში ფეხი მოიკიდა მახინჯმა მოვლენამ, რამაც არ შეიძლება მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება არ გამოიწვიოს. სკოლის შინა განაწესის თანახმად მოწაფემ, რომელიც ავადმყოფობის გამო გაკვეთილებს გააცდენს, უნდა წარადგინოს ავადმყოფობის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობა. ამის მისაღებად—კი მოწაფეები მიმართავენ სოფლის ამბულატორიას, სადაც **თვითეულ მოწაფეს, მარტო ცნობის მისაღებად ახდევინებენ 5 მანეთს, ხოლო გასასინჯს — 3 მანეთს.** მოწაფეთა ასეთი გაყვლეფის ხარჯზე ექიმები ისქელებენ თავიანთ ჯიბეს.

მიუხედავად იმისა, რომ, გურჯაანის რაიჯანმრთელობის განყოფილების გამგემ ამხ. **მირიანაშვილმა**, აუკრძალა ამბულატორიის თანამშრომლებს მოწაფეთათვის ფულის გადახდევინება, ვაჟბატონ ექიმებს ეს ჩვეულება დღესაც არ მიუტოვებიათ. ამას წინათ, ადგილი ჰქონდა ასეთ ფაქტს: ერთერთ ჩემს მოწაფეს ასტკივდა ხელი. მე მთხოვა ამბულატორიის წინაშე მეშუამდგომლა, რათა მისთვის უფასო საექიმო დახმარება აღმოეჩინათ. მოწაფის თხოვნა დავაკმაყოფილე, მაგრამ ამბულატორიის ექიმმა **ბაქრაძემ** შეწუხებული ბავში, იმის გამო, რომ მან გასასინჯი ფული ვერ გადიხადა, — უარით გაისტუმრა.

რადგან ასეთ მოვლენებს აქ მასობრივი ხასიათი აქვს და მოწაფეებს არ შეუძლიათ სისტემატიურად იხადონ ფული, მე იძულებული გავხდი მოწაფეები საბუთების წარმოდგენისაგან გამენთავისუფლებინა.

იმედია, ამ საქმეში ჩაერევიან ზემდგომი ორგანოები და ერთხელ და სამუდამოდ მოუღებენ ბოლოს ასეთ მახინჯ მოვლენებს ველისციხის ამბულატორიის პრაქტიკაში.

დ. ჩხეიძე.

რედაქციისაგან:

„კომუნისტი“ აღნიშნავს, რა ველისციხის საექიმო პუნქტის ექიმების აშკარა ჩარჩვაჩოულ დამოკიდებულებას, მოწაფეებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენისადმი, — მოითხოვს საქ. ჯანსახკომისაგან ამ საქმეში ჩარევას და ცნობას მიღებული ზომების შესახებ.

უპატრონობით ინგრევა მუშების საცხოვრებელი ბინები

ტრამვაის მუშათა სახლი (პლეხანოვის პროსპექტი № 178), უპატრონობით ინგრევა, პირველი კორპუსის სახურავი ახდილია და ჩამოდის წყალი. წყლის მილები ამას წინათ ქურდ - ბაცაცებმა დაიპარეს. მაგრამ სახლების მმართველი **კვანტალიანი** ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. სტალინის რაიონის სახლთა ტრესტის მმართველს ერთხელაც არ შემოუხედნია აქ და არ გამოურკვევია, თუ რა მდგომარეობაშია ტრამვაის მუშათა სახლი; არავითარი კულტურული მომსახურება მობინადრეებს შორის (2 ათასი სული) არ წარმოებს, ეზოში სიბინძურეა; გაფუჭებულთა წყლის ონკანები.

საჭიროა სტალინის სახელობის რაისაბჭომ დროულად მიაქციოს ყურადღება ამ სახლს და დამნაშავე პასუხისგებაში მისცეს.

მცოდნე.

რატომ მომხსნეს სამუშაოდან?

(ინჟენრის წერილი)

საქ. მიწსახკომმა მიმავლინა ბალდათის ჰიდროელსადგურში სამუშაოდ. ბალდათის რაიაღმასკომი და ელსადგურის მშენებლობის უფროსი, სადგურის საექსპლოატაციოდ მოსამზადებელ სამუშაოების შესრულების დროს, არავითარ დახმარებას არ მიწევდენ. მშენებლობის უფროსმა **ალ. ჯაფარიძემ**, არა თუ დახმარება გამიწია, არამედ სრულიად უმიზეზოდ მომხსნა სამსახურიდან მოვითხოვე საბოლოო ანგარიშის გასწორება; ჯაფარიძემ ჩემი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. 24 აგვისტოს გავასაჩივრე ბალდათის შრ. სახ. სასამართლოში, რომელმაც საქმე ჩემ სასარგებლოდ გადაწყვიტა: მშენებლობის უფროსს დაუყოვნებლივ უნდა აღედგინე სამსახურში და გადაეხდა ჩემთვის გაცდენილი თვეების ხელფასი — თვიურად 450 მანეთის მიხედვით, მაგრამ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება დღემდე, შეუსრულებელია. ბაღდათის რაიპროკურორს რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწისაგან მიეცა წინადადება სისრულეში მოეყვანა სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ არც მან შეასრულა ეს განკარგულება და დღემდე ჩემი კუთვნილი ხელფასი ვერ მივიღე.

ვთხოვ ზემდგომ ორგანიზაციებს, ჩაერიონ ამ საქმეში და ბოლო მოუღონ საქმის ასეთ გაჭიანურებას.

ბაკურაძე.

გამოხმაურება გამოუქვეყნებელ წერილებზე

„ნეტავ ვინ შექმნა ეს თაიგული“

წერილი ამ სათაურით მიიღო რედაქციამ. ავტორი გვატყობინებდა, ჩხარის პედტექნიკუმი და პოლიტექნიკური ათწლედის ხელმძღვანელების მუშაობას ანტიპედაგოგიურობა ახასიათებსო. სკოლის გამგე ვასილ მაჩიტაძე თვითნებურად ხსნის მასწავლებლებსა და მოწაფეებს. მაჩიტაძე [illegible] უვლის პოლიტიკურ მუშაობას სკოლაში, რასაც ასაბუთებდა იმით, რომ მას, როგორც მათემატიკოსს— პოლიტიკა არ ეხება. ავტორი ამასვე აღნიშნავდა გამგის მოადგილე დავით გორდაძეზე. იგი მიუხედავად იმისა, რომ კომკავშირელია, ვერ ერკვევა პარტიის მიმდინარე პოლიტიკის ელემენტარულ საკითხებშიც კი. ტექნოლოგიის გაკვეთილებს არ აძლევს იმ მოტივით, რომ სახელოსნო არ აქვს. მათ ზურგს უმაგრებს რაიგანათლების განყოფილების გამგე, რომელიც მაჩიტაძის მეგობარიაო. რედაქციამ ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გაუგზავნა ჩხარის რაისაკონტროლო კომისია - მუშგლეხინს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილი მთლიანად დადასტურდა. მაჩიტაძე და მისი მოადგილე გორდაძე მოიხსნენ სამსახურიდან.

„კულაკები კოლმეურნეობის სათავეში“

აღნიშნულ სათაურით მიღებულ წერილში ავტორი სწერდა, რომ სოფ. **ახაშნის** (გურჯაანის რაიონი) ამხ. ქართველიშვილის სახელობის კოლმეურნეობის მოანგარიშე **გიგუცა ხმისაშვილის** უხეირო მუშაობის გამო ანგარიშწარმოება მეურნეობაში ქაოტიურ მდგომარეობაშია.

გურჯაანის რაისაკონტროლო კომისია-მუშგლეხინი გვატყობინებს, რომ კორესპონდენცია ძირითადად დადასტურდა. **გ. მაჟისაშვილი მოიხსნა სამსახურიდან.**

ტფილისის რადიო-ქარხანამ აითვისა ახალი რადიო აპარატურის წარმოება

ოქტომბრის 16 წლისთავისათვის ამიერკავკასიის რადიომშენის სახელოსნოები გადაკეთდა რადიოქარხანად. აშენებულ და შენების პროცესში მყოფ მძლავრი გადამცემების გარდა, ქარხანამ აითვისა რადიოგრამების გადამცემი დრანომ-ტერების წარმოება. მიმდინარე წლის 15 ნოემბერს ქარხანამ გამოუშვა მიმღები სწრაფმომქმედი საწერი აპარატურის—ონდულიატორი, რომლის კონსტრუქციაც ქარხანას ეკუთვნის. იგი მთლიანად საბჭოთა მასალისაგანაა დამზადებული;

ტფილისის რადიოცენტრის რადიო-სააპარატოში გამოცდის დროს ონდულიატორმა ბრწყინვალე შედეგები მოგვცა. იგი ღებულობს გადაცემას დაახლოებით ორჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ინგლისური ფირმის „კრიდის“ ასეთივე ონდულიატორები.

სწრაფმომქმედი მიმღებ-გადამცემი რადიოტელეგრაფის აპარატურის სავსებით ასათვისებლად საჭიროა, ქარხანამ აითვისოს უაღრესად რთული აპარატის—პერფორატორის წარმოება.

ა.-კ. რადიომშენის ქარხანას შესაძლებლობა აქვს აითვისოს ამ აპარატის წარმოება (ადს).

წყალტუბო— ლანჩხუთის გზატკეცილი

ოქტომბრის რევოლიუციის მეთექვსმეტე წლისთავის ზეიმზე, წყალტუბოსა და ცხუნკურის სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფლების მშრომელებმა იკისრეს ვალდებულება ერთსულოვნად გამოვიდნენ სამუშაოთ წყალტუბო-ლანჩხუთის (ქვემო-სვანეთის რაიონი) გზატკეცილის გასაყვანათ. აღნიშნული გზატკეცილი, რომელიც ქვემო სვანეთის რაიონს დააკავშირებს, ხონის და ქუთაისის რაიონებთან, ოქტომბრის რევოლიუციის მეჩვიდმეტე წლისთავისათვის გაყვანილი ქნება 20 კილომეტრის მანძილზე. წყალტუბოსა და ცხუნკურის სას. საბჭოების მშრომელთა ერთსულოვანი დადგენილებით აღნიშნულ გზას მიკუთვნებული აქვს მისი დაწყების მთავარი ინიციატორის ამხ. **დავით კილაძის სახელი.**



კავშირგაბმულობის ახალი სახლი. ტფილისში მთავრდება კავშირგაბმულობის ახალი სახლის მშენებლობა, რომელიც გააერთიანებს საქ. კავშირგაბმულობის რწმუნებული სამმართველოს, ახალი ავტომატიურ სატელეფონო სადგურს, რადიოთეატრს, და საფოსტო განყოფილებას.

სურათზე: კავშირგაბმულობის სახლის ფასადი.

სოხუმს წყალში ჩაუშვეს პირველი ელექტრომავალი

სოხუმი, 16 ნოემბერი. ოქტომბრის დღესასწაულების დროს წყალში ჩაუშვეს ელექტრომავალი **„ნესტორ ლაკობა“**, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში. აღნიშნული ელექტრომავლის წყალწყვა 140 ტონას უდრის.

ელექტრომავალი აგებულია სოხუმის ნავთსადგურის სახელოსნოში საბჭოთა მასალით. ამხ. შპაკის, პივოვაროვის და კოროსტილევის ბრიგადებში გაერთიანებულ საუკეთესო დამკვრელთა ძალებით. ელექტრომავლის აგების ინიციატორები და ხელმძღვანელები არიან სოხუმის ნავთსადგურის უფროსი ამხ. პ. ლადარია და ინჟენერი პაზიუკი.

გამოცდამ დაადასტურა, რომ ელექტრომავალს დიდი უპირატესობა აქვს სხვა გემებთან შედარებით როგორც სვლის, ისე მართვის სიადვილის და სათბობის იკონომიის მხრით.

სოხუმის ნავთსადგურის სამკუთხედმა, რომელმაც გაითვალისწინა პირველი ელექტრომავალის აგების ათვისების ამოცანა, გადასწყვიტა ააგოს მეორე უფრო მძლავრი ელექტრომავალი, რომლის მშენებლობა წელსვე დაიწყება (ადს).

სამკერვალო ფაბრიკა— გიგანტი ქუთაისში

ფაბრიკა წელიწადში გადაამუშავებს 40 მილიონი მანეთის პროდუქციას

ქუთაისი, 15 ნოემბერი. დაჩქარებული ტემპებით წარმოებს ახალი, მთლიანად მექანიზირებული, მძლავრი სამკერვალო ფაბრიკის შენება. ფაბრიკა ამუშავდება 1934 წლის თებერვალში.

ფაბრიკის მთავარი კორპუსის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ფაბრიკაში უკვე მუშაობს სათარგო (გამოჭრის) საამქრო, რომელიც მომსახურებას უწევს არსებულ ფაბრიკას.

ექსპლოატაციის პირველ წელს ფაბრიკაში იმუშავებს [illegible].200 მუშა.

სამცვლად მუშაობის დროს ფაბრიკაში იმუშავებს 2.500 კაცი; ფაბრიკა წელიწადში გამოუშვებს 40 მილიონი მანეთის პროდუქციას (ადს).

ტფილისი, ახალი ხიდის მშენებლობა მდინარე მტკვარზე.

სურათზე: მუშაობა ხიდის მთავარ საყრდენზე.

ეროვნული გალერეა საქართველოს მხატვრების კავშირს

ბრძანება № 575

განათლების სახალხო კომისრის 1933 წ. ნოემბრის 16.

საქ. ეროვნულ. გალერეის შენობა კავშირს გამოფენების და მხატვართა
(რუსთაველის პროსპექტი) გალერეის კლუბის მოსაწყობად.
მეტეხში გადასვლის გამო, გადაეცეს განათლების სახალხო კომისარი —
საქართველოს საბჭოთა მხატვრობის | ე. ბედია.

ქრონიკა

კონფერენცია მაუდის ფაბრიკაში

18 ნოემბერს, დღის 4 საათზე ტფილისის მაუდის ფაბრიკის კლუბში გაიხსნება ამავე ფაბრიკის მუშათა კონფერენცია, მოწვეული 7 საათიანი სამუშაო დროის მთლიანად გამოყენების საკითხზე.

პედაგოგიკისა და პედოლოგიის კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტში (ლომინაძის ქუჩა, № 5), 17 ნოემბერს, საღ. 8 ს. დანიშნულია ინსტიტუტის საპროგრამო-მეთოდიური განყოფილების სხდომა, რომელზედაც გაირჩევა ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომლის დ. დონდუას ნაშრომი— „გეოგრაფია დაწყებით სკოლაში“.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპგანყოფილება 17 ნოემბერს, დილის 11 საათზე ც. კ-ის სხდომების დარბაზში იწვევს სხდომას მწერალთა საკავშირო საორგ. კომიტეტის დელეგაციასთან ერთად.

დღის წესრიგი:

საკავშირო საბჭოთა მწერლების საორგ. კომიტეტის—ამხ. კირპოტინის მოხსენება დელეგაციის ამოცანების შესახებ.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ნ. მიწიშვილი, დ. დემეტრაძე, ბ. ბუაჩიძე, პ. ქიქოძე, შ. რადიანი, ფ. ნაროუშვილი, ს. ეული, კ. ლორთქიფანიძე, ბუხნიკაშვილი, ატრიანი, გრებენშჩიკოვი, პოლოხოვი, კ. კალაძე, ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ჩიანელი, ი. აბაშიძე, ლისაშვილი, გ. ლეონიძე, პ. საყვარელიძე, პოლუმორდვინოვი, ს. შანშიაშვილი, თალაკვაძე, სამსონიძე, ქუჩიშვილი; გ. ტაბიძე, ბედია, ჩაუსკი; ქეონია; შევჩენკო, ბობოხიძე, ს. აკოპოვი, ვ. გაფრინდაშვილი; ს. ჩიქოვანი, მ. ნატროშვილი; გომიაშვილი; ს. კლდიაშვილი, ა. ქუთათელი, ი. მოსაშვილი.

— **17 ნოემბერს დღის 12 საათზე ტფ. კომიტეტის საორგ.-საინსტრ. განყოფილებაში ამხ. კოქლამაზაშვილთან** (ოთახი № 45) აუცილებლად უნდა გამოცხადდენ ქვემოდ დასახელებული პარტუჯრედების მდივნები: კაცაძე—ლენრაიონის საბჭო, რუხაძე—ლენრაიონის გან. განყოფილება, შახკულოვი—26-ის რაიონის საბაზრო კომიტეტი, კაციტაძე—26-ის სახ. რაისაბჭო, პირაევი—აბანოების ტრესტი, ცეცხლაძე—„26“-ის რაიონის მასწავლებელთა უჯრედი, აკოპოვი—ორჯონიკიძის რაიონის სახლის მუშების უჯრედი, გაბუნია—ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭო, ახობაძე—ტფ. საბჭო, ბესტაევი—წყალკანალტრესტი, კაზაროვი—დამკრძალავი ბიურო, მარდალეიშვილი—სტალინის რაიონის მასწავლებელთა უჯრედი.

— **19 ნოემბერს 6 ნახევარ საათზე ტფ. კომიტეტის პარტმუშაობის კაბინეტში** (ძნელაძის ქ.; 30, ე-3 სართული) შესდგება მიმდინარე პოლიტიკის წრეების პროპაგანდისტებისათვის ამხ. სულეიმანის კონსულტაცია თემაზე: „მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში“. რაიკომების ყველა კულტპროპს და რაიპარტკაბინეტების გამგეებს წინადადება ეძლევათ უზრუნველყონ კონსულტაციაზე პროპაგანდისტების გამოცხადება.

— **ლენრაიკომის კულტპროპგანყოფილება აუწყებს ლენრაიონის ყველა პროპაგანდისტს,** რომ 17 ნოემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. 3) მოწვეულია კულტპროპორგანიზატორების და პროპაგანდისტების საერთო საქალაქო კონფერენცია უჯრედების მდივნებთან ერთად. დღის წესრიგი: ამხ. სეფის მოხსენება: ამხ. ბერიას წერილი მარქსისტულ-ლენინური სწავლების შესახებ და ჩვენი ამოცანები. ლენრაიონის ყველა პროპაგანდისტის დასწრება აუცილებელია დაუგვიანებლივ.

— **პ. კ-ის კადრების განყოფილებაში** ამხ. თუშიშვილთან სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეს ამხ. აქვსენტი პაპავა.

— **17 ნოემბერს, დღის 1 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) ტ. კკლბთრდსუვოზგკლბთრდლქჭ** (ძნელაძის ქ., 30), მოწვეულია თათბირი. დღის წესრიგი: 1. რაიკომების პარტკაბინეტების გამგეების მოხსენებანი პარტკაბინეტების მუშაობის შესახებ. 2. ტ. კ. პარტკაბინეტის სამუშაო გეგმის განხილვა: სავალდებულოა ამხ. მელქაძის (ლენრაიკომი), თოფურიას (სტალინის რაიკომი); სისაკიანის („26“ სახ. რაიკომი); გელოვანის (ამხ. ორჯონიკიძის სახ. რაიკომი); ა. მექვაბიშვილის (საგარეუბნო რაიკომი); რაიპარტკაბინეტების ბიბლიოთეკების გამგეებს, ალკკ ტფ. ორგანიზ. ყველა რაიკომების კულტპროპების, გოფმანსკის (ს. ალკკ ტ. კ.), ა. ზაუტაშვილის და ი. ბრეგვაძის (საქ. კ. პ. (ბ) ცკ კულტპროპიდან) დასწრება.

17 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში
(ფურცელაძის ქ. № 3)

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისის მსხვილი საწარმოების პარტუჯრედების (კოლექტივების, კომიტეტების)

კულტპროპორგანიზატორების და პროპაგანდისტების

საერთო საქალაქო კონფერენციას

პარტუჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: ამხ. **ბ ე რ ი ა ს** წერილი მარქსისტულ-ლენინური სწავლების შესახებ და ჩვენი ამოცანები.

(საქ. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის კულტპროპგანყოფილების გამგის ამხ. **სეფის** მოხსენება.

საქ. კ. პ. (ბ) ტფ. კომიტეტის კულტპროპგანყოფილება.

ქვანახშირი

15 ნოემბერს *) ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულდა 75 პროც.

	ამოღება (ტონობით)		
	დავალება	შესრულება	%
ხ უ ლ	1,280	956	74,7
მათ შორის:			
ლენინის უბანი . . .	520	385	74
სტალინის უბანი . .	760	561	74

---

*) გუშინ გამოქვეყნებულ ქვანახშირის ცხრილში, თვის რიცხვი შეცდომითაა ნაჩვენები. 11 ნოემბრის ნაცვლად უნდა იყოს: 14 ნოემბერს.

მარგანეცის ამოღებისა და გარეცხვის ცხრილი გუშინ რედაქციას არ მიუღია.

სახ. ოპერა	დღეს აბონ. გარეშე **კარმენი**	18 ნოემბერს 11 აბონ. 3 **ფაუსტი და ვალპურგიის ღამე**	19 ნოემბერს აბონ. გარეშე **კარმენი**

აბონემენტების მფლობელთა საყურადღებოდ
ის აბონენტები, რომლებსაც არ ექნებათ [illegible] (მეოთხე) შესატანი ერთი დღით ადრე თავის წარმოდგენამდე ჰკარგავენ წარმოდგენაზე დასწრების უფლებას და მათი ადგილები გაიყიდება ცალობით. 328

რუსთაველის თეატრი	17 ნოემბერს ქას. წლ. აბ 8. 9, 10 11, 12 მე-9 წ. **ზაგმუკ**	19 ნოემბერს 6 აბონ. 2 წარ. in tirannos	20 ნოემბერს 7 აბ. 2 წარ. in tirannos

სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 ს. 6. 405

მარჯანიშვილის თეატრი	17 ნოემბერს 12 აბონ. 2 წარ. **შიში**	18 ნოემბერს აბონ. გარეშე **მზის დაბნელება საქართ.**	20 ნოემბერს 4 აბონ. 2 წარ **როგორ**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11 ს. — 12 ს. საღამოს 6 ს. — 10 ს. დეკემბრის 1 რიცხვამდე აბონენტების მიერ დაფარული უნდა იქნეს მე-3 გადასახადი.

სახ. ოპერა. აბონემენტის გარეშე წარმოდგენები
ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით.
17 და 19 ნოემბერს **კარმენი**
22 და 24 ნოემბერს **სამსონ და დალილა** (აბონემენტების ციკლში არ შედის).
გამოცხადებულ წარმოდგენებზე ყველა მუდმივი შესასვლელი ნებართვები და კონტრამარკები არ გამოდგებიან. ბილეთები იყიდება დღისით 1-დან 2 ს. საღ. მოთი [illegible]-დან 9 საათამდე 369

სახ. კინმრეწვის კინო-თეატრები:

ოქტომბერი—ხმოვანი 6-30, 8-30 10-30	ხმოვ. ფილმი **ანენკოვშჩინა** პრ. გარეშე ხმ. ჟურნალი № 28
დამკვრელი 6, 7-30, 9, 10-30.	მხატვრული ისტორიული ფილმი **მისი უდიდებულესობის სოლისტი**
ტემპი 6, 7-30, 9, 10-30	სახლ.ფ **მხურვალე კლდეების ველი** პრ. გარ. ხმოვ. ჟურნალი № 25
რ. ლიუქსემბურგის ხმ. 6, 7 30, 9, 10-30	ხმ მხ. ფ **სიმღერა გმირების შესახებ** პრ. გარ. ხმოვანი ჟურნალი № 29
სპარტაკი 6, 7-30 9, 10-30	**ახალი ამერიკ. კომედ. ხალამო** პრ. გარ.—სტრატოსფეროში გაფრენა
26-ის სახელობის ავლაბარში 7. 8 10. 10	იგორ ილინსკი სურათში **როცა იღვიძებენ მკვდრები**
მეცნიერება და ტექნიკა [illegible]	სამეცნიერო პოპულიარული ფილმი **ცა და დედამიწა**
საბავშვო კინო [illegible] საათზე	საბავშო ფილ. **ახალგ. ენტუზიასტები**
ოქტომბერი—დღისით სეან. 12, 1 30, [illegible]	**ცოცხალი ლეში** ნ. ვაჩნაძის მონაწილეობით

მათემატიკის მასწავლებელი საკონკურსო გამოცდებისათვის **ამზადებს მოწაფეებს:** ინსტიტუტებისათვის, 0 წლ და 7 წლ. მოწმობაზე. ასწორებს სტუდ. ჩაწერა 10—12 და 5—7. გრიბოედოვის ქ. № 5. 597

ექიმი ქალი **ნ. მირიანაშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება **კანის და ვენერიული ავადმყ.** ([illegible]) ხოლოდ ქალების და ბავშვების მიღება 5—7 ს. მოსკოვის ქ. № 9, ტელ 4-95. 243

ექიმი **ვ. ფ. ოთხმეზური** ქირურგიული სნეულებანი მიღება საღ. 5—7 საათამდე. მისამართი—გრიბოედოვის ქ. № 19. 455

სოფ. კავთისხევის კასპის რაიონის **კოლმეურნეობა „მაგალითი“-ს გამგეობა აცხადებს,** რომ საკოლმეურნეო სავაჭრო წერტი მდებარე ქ. ტფილისში (ბრძოლის ქ. № 214) დღეის რიცხვიდან **ლიკვიდაცია ქმნილია** და გაცემული რწმუნებები ვალოდია ჩხეიძეზე, ანიტა ჯანჯალაშვილზე და მიხეილ ჯანჯალაშვილზე გაუქმებულია. პრეტენზიები აღნიშნულ წერტზე და მათ რწმუნებულებზე მიიღება მიწსახკომში ოთახი № 42 ამხ. კოპალეიშვილთან ა/წ. 25 ნოემბრამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები განხილული არ იქნება **გამგეობა.** 36[illegible]

სირაქლემას ფრთები ესაჭიროება სახ. ოპერას მიმართეთ სამეურნეო ნაწილის გამგეს ამხ. **ლვინიაშვილს** დღის 2 დან 3 საათამდე ყოველდღე. 370

ღრმად დამწუხრებული ბებია პოინე ბიძები: გიორგი, ივანე, ბორისი ცხომელიძეები ცოლშვილით და დეიდები: პოლია და პიკოლა იუწყებიან საყვარელ **ალექსანდრა მამულაშვილი-აბუევას** უდროოდ გარდაცვალებას. 342

მამიდა თამარი და ძია გოგი თავიანთი შვილებით: უშანგი, ცაცა ნათიშვილები, და ბიძაშვილი მარო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი პატარა **ელიკო გოჩიტაშვილი** დასაფლავება დღეს ვერის სასაფლაოზე 4 საათზე. 338

შვილიშვილები: ქეთო, მადლენა, ვასო ჭახი შვილები; ანიკო, კატო, შუტუ, ლევან თავბერიძეები; კუკური, თინა ასათიანები, დავსტირით აღმზრდელ ბებიის **ფოტინე ბასილაძის** გარდაცვალებას. სამოქ პანაშვიდი დღეს 6 ს. დაკრძალვა 18 ნოემბერს 3 ს. კუკიის სასაფლაოზე 336

საქ. ვაჭრობის მე-26 მაღაზიის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამხ. **სერგო ვართანოვის** უდროოდ გარდაცვალებას. 359

18 ნოემბერს 2 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარ **შუშუ ჭყონიას** ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც იუწყებიან მშობლები ანიჩკა და გიორგი და ელენე, ძმა მიშა ჭყონიები. 317

ტასო და აპოლონ ზალაშვილები პატარა ზუზიკოთი დავსტირით სიცოცხლით სავსე **ელიკო გოჩიტაშვილს** 330

18 ნოემბერს 2 საათზე, ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი **ექ. შურა ბოკერია-გურგენიძისა და გივი გურგენიძის** რასაც იუწყებიან გრიშა ირაკლის ძე გურგენიძე, ნინა და მარო ბოკერია. 355

სამედიცინო ინსტიტუტის პროპედევტიკული თერაპიული კლინიკა აუწყებს საზოგადოებას, რომ 18 ნოემბერს 2 ს. ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი თანამშრომლის **ექ. ალექსანდრა ბოკერიას** ხსოვნის აღსანიშნავად. 334

მეუღლე ძიზანა, შვილები: ვარლამი, კალენიკე, ვალერიანე, რძლები: თამარა, გოგუცა, ნადია გოგიაშვილები, ძელენტი ვერა აბჟანდაძეები იუწყებიან, რომ 18 ნოემბერს რუფოთში დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი დაუვიწყარი **ასინეთი ივანეს-ას. გოგიაშვილის** ხსოვნის აღსანიშნავად. 363

თავზარდაცემული დედა მიადორა შვილები: ოთარი და ხიდარი, ძმა კირილე, ცოლი ფაცია შვილებით ვაუწყებთ ნათესავება და მეგობრებს **გრიშა ათანასის-ძე გოთოშიას** გარდაცვალებას. დასაფლავება 17 ნოემბერს სოფ. იაეთში. [illegible]61

დათიკო, ნატაშა, ზინა და ვანო ჭავჭახიძეები მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ბიცოლას **მარიამ (მაშიკო) გალანჩივაძის** გარდაცვალებას. გაძსვენება 18 ნოემბერს 13 ს. დიდივანქის ქ. № 20. 350

კონდრატი, ნატალია და ანა ხაზარაძეები, არჩილ ნინო და პელო ჯანაშვილები აუწყებენ მეგობრებს და ნათესავთ, მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ სიძის და ბიძის **ილია ალექსანდრეს-ძე ანანიაშვილის** გარდაცვალებას. 357

დამწუხრებული ქმარი ანდრო მშობლებით ივანე და ელისაბედ აბუევები იუწყებიან დაუვიწყარ ცოლის და რძლის **შურა მამულაიშვილი-აბუევის** უდროოდ გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 6 ს. ტურგენევის ქ. № 4, დაკრძალვა 18 ნოემბერს 4 ს. 371

ევსევი გვილავა და თინა ქაცარავა აუწყებენ მეგობართ საყვარელი შვილის **ვინას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 18 ნოემბერს 4 საათზე, ყვირილის ქუჩა № 1. 2—1 34

ბალავაძე მიხეილი, გიორგაძე ალექსანდრე და ეგნატაშვილი დიმიტრი ვიზიარებთ უახლოესი მეგობრის ძალვა თავზარაშვილის მწუხარებას, საყვარელი მამის **იასონ ფირანის-ძე თავზარაშვილის** გარდაცვალების გამო. 356

უახლოესი მეგობრები: შაქრო ჩხუბიანაშვილი და სოსო ნადირაშვილი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ **ალექსი ლევანის-ძე აბაშიძის** უდროოდ გარდაცვალების გამო. 352

შვილები გრიშა კოჩელეიშვილი ცოლშვილით, ჩატუ გეჯენავა და ვარია გოჩილეიშვილი-ბერულავასი თავიანთ ქმარშვილით, მატრო და მინა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი დედის **ანა თურქია-გოჩილეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19 ნოემბერს, ქ. სოხუმში (კარანტინის ქ. № 7) 21

დედა ბაბალე, მეუღლე კატო შვილებით, ძმები: გიგო, დავით, კოსტა, ლელე, ჩიო, დები მარიამ, მაკო, ელო, დარეჯანი, ნატო ოჯახობით უსაზღვრო მწუხარებით იუწყებიან სატყეო ინსტიტუტის სტუდენტის **ალექსი ლევანის-ძე აბაშიძის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ალვანში 337

საქ. კ. პ (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტი აუწყებს ორგანიზაციის ყველა წევრს, რომ 15 ნოემბერს გარდაიცვალა პარტიის აქტიური წევრის, ქალაქკომის საორგ. განყ. გამგის ამხ. ვალიკო კვერნაძეს მეუღლე **ამხ. ფედოსია კვერნაძე** დაკრძალვა 19 ნოემბერს. 343

ცუცა (იოსებ) ქაცარავა იუწყება, რომ 18 ნოემბერს ქუთაისში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას მეუღლის და საყვარელი სიდედრის **დოდო და ქეთო ჭარხალაშვილების** ხსოვნის აღსანიშნავად 351

ფოთის ქალაქის საბჭო მწუხარებით აუწყებს საბჭოს ყველა წევრს, რომ გარდაიცვალა ქალაქის საბჭოს აქტიური წევრი **ამხ. ფედოსია კვერნაძე** დაკრძალვა 19 ნოემბერს, 5 საათზე, ნახუტურის სასაფლაოზე, გამოსვენება ბინიდან. 343

პროკოფი პეტრეს ძე, ვერა ვლადიმერის ასული, ლუბა და ვლადიმერი ჯანაშიები მწუხარებით იუწყებიან საყვარელი დედის და ბებიის **ანნა ივანეს-ასული ჯანაშიას** გარდაცვალებას. დასაფლავება ს. ცაისში. 2—1 332

დამწუხრებული მეუღლე ვალიკო, შვილები კლარა და სპარტაკი კვერნაძეები, მამა ანდრი და ლიდა, ძმა დიმიტრი ჭოჭუები იუწყებიან ძვირფას **ფედოსია ჭოჭუა-კვერნაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19 ნოემბერს 5 საათზე ფოთში. 343

ეფემია, საშიკო ევანთი, ფედოსი და მელიკო დევდარიანები მწუხარებას გამოსთქვამთ ივეთთვის საიმედო მამიდაშვილის **გლახუა ფირანის-ძე თავზარაშვილის** გარდაცვალების გამო 331

დამწუხრებული მეუღლე გოგია, შვილებით: მარკოთი, ალექსი. მაზლები. ნიკო, ონისიმე ლევანა ქიტესა ცოლშვილით, ძუნი მარო იუწყებიან, რომ 18 ნოემბერს 4 ს ვერის სასაფლაოზე დანიშნულია ძვირფას **ანნა ივანეს-ასულ ჟანდარელის** სამოქალაქო პანაშვიდი. 341

განსახკომის პედ და პედ საქ. სამეც. ინსტიტუტის ადგილკომი და მეც. მუშაკთა ბიურო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ინსტ. დირექტორის მოადგილის პროფ. გიორგი თავზარაშვილის მამის **იასონ თავზარაშვილის** გარდაცვალების გამო. 311

დამწუხრებული მშობლები: ნოე და ლიუბა დუნდუები შვილებით იუწყებიან, რომ 18 ნოემბერს დღის 4 ს. ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათი საყვარელი შვილის **დათო ნოეს-ძე დუნდუასი** უფ.

დამწუხრებულნი: მეუღლე ელისაბედ ზაქარიას ასული და შვილი გრიგოლ ანანიაშვილები ცოლშვილით იუწყებიან რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი **ილია ალექსანდრეს-ძე ანანიაშვილი** სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 ს. გამოსვენება 18 ნოემბერს საგურამოს ქ. № 5, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე. 364

ღრმად დამწუხრებულნი ევპრაქსია კალანდარიშვილი ფარულავასი პატარა მერით, ვალენტინა და ვლადიმერ ლაბახუები შვილი ლელით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი **ალექსანდრე ბეჟანის-ძე ფარულავა** დასაფლავება ახალსენაკში, 18 ნოემბერს 4 საათზე. 358

გულმოკლულნი: ცოლი ანიკო. შვილები: თინიკო, შალიკო ვართანოვები, იოსები, მარიამი თამრიკო ხიკო კოქლამაზაშვილები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ **სერგო დავითის-ძე ვართანოვის** უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ბოდბის შეს. № 3, 18 ნოემბერს 5 ს. ხოჯივანქის სასაფლაოზე. 353

უსაზღვროდ დამწუხრებული მშობლები: გიორგი, ეფემია, და ლილი აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს უძვირფასეს **რაისა (ცაცა) ნიჟურაძის** ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას გაძსვენება 18 ნოემბერს 4 საათზე, [illegible] № 21. 360

მეუღლე ნინა ჭუგაბრია, ქალიშვილი ნადია და სიძე ზურაბ ძგაღობლიშვილები აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ **კოსტა ჭუგაბრიას** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 საათზე, რუსთაველის პრ № 27. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 18 ნოემბერს 3 ნახ. ს. 346

ვალიკო და თალიკო ჭუგაბრიები შვილებით: კოტიკო, კუკური, შოთა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი ძმა **კონსტანტინე (კოსტა) ჭუგაბრია** სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 ს რუსთაველის პრ. № 27. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 18 ნოემბერს 3 ნახ ს 354

ბიცოლა მართა, ქალიშვილი კალისიკა ჭუგაბრიები, სიძე ვალიკო გიორგაძე შვილებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა საყვარელი **კოსტა ჭუგაბრია** დასაფლავება ტფილისში, ვერის სასაფლაოზე 18 ნოემბერს 3[illegible]4

დამწუხრებული შვილები ნინა, ლიზა ბასილაძეები, სიძე რაჟდენ თავბერიძე აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს დედისა და სიდედრის **ფოტინე ბასილაძის** გარდაცვალებას გამოსვენება 18 ნოემბერს რკინის გზის საავადმყოფოდან 3 საათზე დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 336

პელაგია (კატო) და ვალერიანე ძოწიძეები, შვილები: მერი და არჩილი იუწყებიან საყვარელი რძლის და ბიცოლას **მარიამ კიმოთეს ას. გალანჩივაძის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 ს დიდი ვანქის ქ. № 20 გამოსვენება 18 ნოემბერს 1 ს 333

უახლოესი მეგობრები: მერი იაშვილი და თამარა ჯოხაძე უსაზღვრო მწუხარებით იუწყებიან რომ 18 ნოემბერს 3 საათზე ავლაბრის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ძვირფასი მეგობრის **ნინა ლოდჯაშვილის** ხსოვნის აღსანიშნავად. 339

ახლო ნათესავები: ნესტორი, ვალერიანე, პატკუ, კირილე, კლავდია, შალიკო, ეგნია, ვანო და ლიუბა ოდილავაძეები დასტირიან დავით ბუაძის ქალიშვილის პატარა **ეთერის** ცხედარს. დაკრძალვა ს. ლანირში 18 ნოემბერს. 335

მეგობრები: ცაგარელი, გეგეჭკორი, თოფურიძე, შანიძე, ჟორჟანია, დოლობერიძე, მახარაძე, კიწმარიშვილი იუწყებიან, რომ საყვარელ **შუშუ ჭყონიას** სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 18 ნოემბერს 2 საათზე, ვერის სასაფლაოზე. 340

საქ ა. ლ. კ. კ. ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიურო უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ქალაქკომის ბიუროს წევრის, აქტიურ კომკავშირელის, საქალაქო კომიტეტის კულტპროპგანყოფილების ყოფილ გამგის ამხ. **ბესარიონ ბენიაბეს-ძე აჯალიანის** ტრაგიკულად დაკარგვის გამო. 481

ძ. ჯანდიერი, თ. წერეთელი, ნ. ტოროშელიძე, თ. ბოძაშვილი, ან. იაშვილი, ვ. ჯორბენაძე, ვ. გოგნიაშვილი, ვ. ბაძოშვილი, შ. ბებიაშვილი იუწყებიან სიცოცხლით სავსე **ელიკო გოჩიტაშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. 366

ცაცუკა ჭელიძე, ფაცურა კორძაია, ვაჩილა, ელენა ნიკურაძეები, ზინა ქეცურია, მერი ლეჟავა, ზოია აბჯანდარიძე, სანდრო ზონელიძე იუწყებიან, რომ ქუთაისში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას **ქეთო და დოდო ჭარხალაშვილების** ხსოვნის აღსანიშნავად. 345

დამწუხრებულნი: ბიძები ძმა. სერგო, ვალოდია. ბიცოლები: ნინა, თამარა შვილებით, მამიდა ზურა ბებია ნინა ბაბუა სარდიონ ჭელიძეები იუწყებიან ძვირფას **ეთერიკო დავითის ასულ ბუაძის** უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა 18 ნოემბერს ს ლანირში. [illegible]7

[illegible] შვილები ირაკლი, ქეთო, რძალი ლიუბა სიძე [illegible] შვილიშვილები თამარები გულიკო, მული ანიჩკა იუწყებიან **მარიამ გალანჩივაძის** გარდაცვალებას გამოსვენება 18 ნოემბერს 1 ს. ვერის სასაფლაოზე სამოქალაქო პანაშვიდი 6 ს. დიდივანქის ქ № 20 2-1 370

დამწუხრებულნი ძმა ნესტორ, დედინაცვალი მართა, ძმები კოკოლა, პეტუშა, ხუხიკო, ბიძია მამულაიშვილები აუწყებენ ნათესავებს ნაცნობებს ძვირფასი **შურა მამულაიშვილი-აბუევის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 ნოემბერს ვერის სასაფლაოზე. 371

სტამბა „კომუნისტი“. კამოს ქ. 63. მთავლიტის რწმუნებული ა 1505